პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით

წელიწადი მეორე

კომუნისტი

ცენტრ. და თბილისის კომიტეტის და სრულ. საქარ. მ., გ., წ.-არმ. და მატროსთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის ორგანო

რედაქციის მისამართი
თბილისი, კრუზენშტეინის ქ. № 4. რედაქცია ღიაა ყოველ დღე გარდა კვირა უქმეებისა დილ. 10 ს.—4 ს.
ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 14—76 მდივნის № 19 საერ. №

ფასი 10,000 მან.
პროვინციაში 12,000 მან.

№ 99 პარასკევი, 5 მაისი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი პარასკევი, 5 მაისი 1922 წ. № 99

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბათს, 6 მაისს, საღამოს 6 საათზე ყოფილ ქალაქის თვითმართველობის შენობაში შესდგება

თბილისის აღმასკომის სხდომა

დღის წეს რიგშია: მოხსენება მართველობის განყოფილების და სხვ. ყველა წევრების გამოცხადება სავალდებულოა.

მდივანი: მეხხი.

(2—1)

ჩვენი პრესის მდგომარეობა და ამოცანები

თუ დღევანდლამდე ჩვენ რომელი საკითხს უმართებულოდ მცირე ურადღებას ვაქცევდით, ეს განსაუთრებით ითქმის პარტიულ საბჭოა პრესის შესახებ; მაშინ როცა მი მნიშვნელობა და როლი განუზოლია მრავალ მხრივ.

დღევანდელი დღე, 5 მაისი ჩვენი რესის დღეთაა გამოცხადებული. ამ ღის დედა აზრი იმაში მდგომარეობს, ომ განვუმარტოთ პარტიულ და აერთოდ მშრომელ მასსებს, თუ რა იდი მნიშვნელობა აქვს რევოლიუციონურ პრესას ჩვენს ცხოვრებაში, ა ამოცანები და მიზნები დგას მის ინაშე და როგორც უნდა ანხორციელებდეს მათ, და ამგვარად შევქმნათ ვენი პრესის გარშემო მუშათა მასსეის მხრით იდეური თანაგრძნობის და ყურადღების ატმოსფერა, გავაათ ცოცხალი კავშირი პრესასა და ასებს შორის, რათა უკანასკნელებიათვის შეიქნეს აუცილებელ სულიერ ოთხოვნილებად, იდეურად მასაზრდოებელ წყაროდ.

დიახ, ჩვენი პრესა უნდა იყოს ნამვილი მასაზრდოებელი, იდეური ელმძღვანელი მუშათა კლასის, მისი არტიული კლასობრივი საზოგადოერივი აზრის გამომხედველი და გამოხატველი.

უნდა აღვნიშნოთ, რომ პროლეტარიატი თავის აზროვნებაში, საზოგადოდ იდეოლოგიაში ხშირად იჩენს დღევანდელ მომენტში სისუსტეს, გაურკვევლობას, მერყეობას და სხვისი, უცხო, მოწინააღმდეგე ძალის გავლენას განიცდის. იგი ბურჟუაზიის იდეოლოგიურ ტყვეობიდან ჯერ კიდევ სავსებით ვერ განთავისუფლებულა და ხშირად ეს კლასი აჩვევს მას თავის ინტერესებს, შეხედულებებს, გემოვნებას. ჯერ კიდევ მძლავრია ბურჟუაზიის იდეოლოგია, რომლითაც რამოდენიმედ მოშხამულია პროლეტარიატის შემეცნებაც. და ეს საფრთხე ბურჟუაზიული იდეოლოგიისა უფრო საგრძნობი ხდება დღეს, ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში. მუშათა კლასი გარშემორტყმულია წვრილ ბურჟუაზ.-მეშჩანური სტიქიით, რომელნიც მას იდეურ და პსიქოლოგიურ გარდაქმნას უპირებს. შეუმჩნევლად, მაგრამ თანდათანობით და დაჟინებით იჭრება ეს გავლენა ჩვენს ურთიერთობასა და აზროვნებაში. პროლეტარიატმა უნდა დაუპირდაპიროს მას თავისი გამოკვეთილი კლასობრივი აზროვნება. ხოლო ამას ის შესძლებს მხოლოდ მაშინ, როცა ნათლად ერკვევა დღევანდელ რთულ ამბებში, აკუთვნებს ცხოვრების ყოველ მოვლენას თავის ნამდვილ ადგილს და აშუქებს მას თავისი წმინდა კლასობრივ და საბოლოო მიზნის თვალსაზრისით. და აქ მთელი სიღრმესიგანით დგება პარტიულ საბჭოთა პრესის მნიშვნელობა და ამოცანები. ჩვენი პრესა უნდა იყოს პროლეტარიატის გზის მანათობელი ვარსკვლავი, მეორე მხრივ ბასრი იარაღი ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ. მან უნდა გააშუქოს და შეაფასოს მიმდინარე, როგორც შინაური, ისე საერთაშორისო სინამდვილის ყოველი ასე თუ ისე თვალსაჩინო მოვლენა, ყოველი ასე თუ ისე საგულისხმო ფაქტი, გაარკვიოს მისი როლი როგორც დღევანდელი მომენტისათვის, ისე მერმინდელი პერსპექტივის თვალთახედვით. ჩვენი პრესა უნდა იყოს უტყუარი სარკე, სადაც აღიბეჭდება მთელი სისრულით, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეებით ჩვენი მიმდინარე ცხოვრება, და არა მარტო სარკე, არამედ მაიაკიც, რომელიც გვიჩვენებს ცხოვრების განვითარების ტენდენციას, გვიკვლევს გამარჯვებისაკენ სავალ გზას, ამასთან დაუზოგველად ამხელს მოწინააღმდეგეთა ყოველგვარ, აშკარა თუ ფარულ ცდას, მიმართულს მუშათა კლასის დამარცხებისაკენ.

ჩვენმა პრესამ დროზე და გარკვეული პასუხი უნდა გასცეს იმ საჭირბოროტო საკითხებზე, რომელსაც აყენებს ცხოვრება და რომელიც აღელვებს მუშათა კლასს.

ამით მშრომელი მასსები მჭიდროდ დაუახლოვდებიან ჩვენს გაზეთს, რადგან იქ ამოიკითხავენ თავიანთ პირვარამს, გულის ნადებს, მოთხოვნილებებს.

და ამ თვალსაზრისით რო შევხედოთ ჩვენს გაზეთს, უნდა გულახდილად ვაღიაროთ, რომ იგი ვერ დგას თავის დანიშნულების სიმაღლეზე. პირველი, რაც გეცემათ თვალში, ესაა მოწყვეტილობა ცხოვრებიდან, მასებიდან. ცხოვრება თავის გზით მიექანება, ჩვენი პრესა კიდევ თავისით. მათ შორის ორგანიული კავშირი ვერ დამყარებულა. მრავალი მოვლენა მიმდინარე ცხოვრებისა შეუფასებელი რჩება და აღუნიშნელიც კი ჩვენი პრესის მიერ. თუ როგორ მიმდინარეობს პარტიული პროფესიონალური საბჭოთა აღმშენებლობა, პროვინციის ცხოვრება და სხვ, ამაზე ჩვენი გაზეთი ძალიან მცირეს ტყუბილობს ან და ისე დაგვიანებით, რომ არავითარი აზრი არა აქვს უკანა რიცხვით მოვლენათა გაშუქებას. პრესა ჩამორჩა ცხოვრებას, უკანასკნელი უფრო სწრაფი ტემპით მიმდინარეობს, ვინემ პირველი, ან კიდევ ორივენი პარალელურად და ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად.

სხვათა შორის, ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ჩვენს გაზეთში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ჩვენი სინამდვილიდან დაშორებულ ტემებს, ხშირად განყენებულ და მაღალ ტემებზე წერას, ჩვენ არ ვამბობთ, რომ ეს საჭირო არ იყოს და მას ყურადღება არ მიექცეს, პირიქით ზოგადი საკითხების გაშუქება ფრიად სასარგებლო საქმედ მიგვაჩნია, მაგრამ სიმძიმის ცენტრი მაინც სხვაგან ძევს. ადგილობრივი ცხოვრება როგორც ყურადღების მთავარი ობიექტი, და ამ ცხოვრებისადმი განსაკუთრებით პრაქტიკული მიდგომა ჩვენ მიგვაჩნია პრესის ერთერთ მთავარ მოთხოვნილებათ დღევანდელს პირობებში, როცა პრაქტიკული აღმშენებლობის პროცესში ვართ უშუალოდ ჩაბმულნი.

ამგვარად, პრესა როგორც დამმუშავებელი მუშათა კლასის მძლავრი საზოგადოებრივი აზრის ბასრი იარაღი ბურჟუაზიულ იდეოლოგიის გავლენის დასაძლევად, ორგანიული კავშირი ცხოვრებასთან, მისი სრული და უტყუარი სარკე, განსაკუთრებული ყურადღება პრაქტიკულ საკითხებს, ცხოვრების მოვლენებზე პასუხის გამცემი და მათი შემფასებელი პროლეტარული რევოლიუციის თვალსაზრისით, მშრომელ მასსების ნამდვილი გზის მაჩვენებელი მისი ყოველდღიურ და მრავალ მხრივი შემოქმედებითი მოღვაწეობაში—ასეთია ზოგადად ის ამოცანები, რომელიც დგას ჩვენი პრესის წინაშე.

დიდია და რთული ეს მიზნები. მათი განხორციელება უამრავ შრომას, დიდ გამოცდილებას და ცოდნას მოითხოვს. და ჩვენი პრესა მხოლოდ მაშინ შესძლებს ამ ამოცანების ღირსეულად შესრულებას, როცა დღევანდლამდე არსებულ გულგრილობას მისდამი ადგილი არ ექნება, როცა პარტიული, პროფესიონალური საბჭოთა ორგანოები, თითეული წევრი ჩვენი პარტიისა და ყოველი მუშა განიმსჭვალებიან პრესის უდიდესი მნიშვნელობით და ყოველმხრივ გაუმართავენ მას ხელს.

პარტიის ცენტრალურ და ადგილობრივ კომიტეტებმა პრესის საკითხს ბევრად უფრო მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ, ვიდრე ეს იყო აქამდი. პრესის პარტიულ პოლიტიკური ხელმძღვანელობა უნდა იქნეს გაძლიერებული, ყოველმა პარტიულმა კომიტეტმა უნდა გამოჰყოს სპეციალური კადრი პარტიის მომუშავეთა პარტიულ გამოცემათა სათავეში აუცილებლათ უნდა იდგნენ ხსენებულ პარტიულ კომიტეტის ხელმძღვანელი ელემენტები. ჟურნალისტ-კომუნისტის მუშაობას გაზეთში ყრილობა უყურებს როგორც პარტიულ ძირითად მუშაობას.

(რ. კ. პ. მეთერთმეტე ყრილობა)

გამოდის რა იმ მდგომარეობიდან, რომ პარტიული ორგანოები ძლიერ სუსტად ვრცელდება და რომ პარტიის ახალი და ძველი წევრები სრულებით არ კითხულობენ თავიანთ პარტიულ გაზეთებს, ყრილობა ადგენს, რომ პარტიის თვითეული წევრის მოვალეობას შეადგენს—იყოს მკითხველი და ხელის მომწერი (ინდივიდუალური და კოლექტიური) ერთ ერთ პარტიულ გაზეთისა.

(რ. კ. პ. მეთერთმეტე ყრილობა).

პრესა და დაწესებულებები

„პარტიული და საბჭოთა პრესის ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანათაგანია სხვა და სხვა თანამდებობის პირთა და დაწესებულებათა დანაშაულობის გამოაშკარავება, საბჭოთა და პარტიულ ორგანიზაციების შეცდომებზე მითითება. ყოველ ასეთ შემთხვევაში დაცული უნდა იქნეს უაღრესათ საქმიანი ამხანაგური ტონი.

ის პირები, და დაწესებულებანი, რომელთა მოქმედების შესახებ არის ლაპარაკი პრესაში, ვალდებული არიან სულ მოკლე ვადაში იმავე გაზეთის ფურცლებზე გამოვიდნენ ნათქვამის ფაქტიური გაბათილებით ან და აღნიშნონ, რომ ნაკლი ან შეცდომა გასწორებულია. იმ შემთხვევაში თუ ასეთი გაბათილება ან აღნიშვნა არ მოხდება, რევოლიუციონურ ტრიბუნალს შეუძლია აღძრას საქმე ხსენებულ პირების თუ დაწესებულებათა წინააღმდეგ“.

რ. კ. პ. მე 8 ყრილობის რეზოლიუციიდან „პარტიულ და საბჭოთა პრესის შესახებ“.

პრესა ერთი უძლიერესი იარაღთაგანია ჩვენი პარტიის გავლენის გასაფართოებლათ და გასაღრმავებლად. ამ მიზანს ანხორციელებს ის ჩვენი პარტიული თეორიის და პოლიტიკის ახსნა განმარტებით და ყოველდღიურ საჭირბოროტო შინაური თუ საერთაშორისო ხასიათის კითხვების გაშუქებით ჩვენი პარტიული მრწამსის თვალსაზრისით, მაგრამ ამით, რასაკვირველია, არ ამოიწურება მისი დანიშნულება და ღირებულება ჩვენთვის, მუშათა საქმისთვის ის უნდა იყოს არა მარტო აგიტატორი და პროპაგანდისტი, არამედ მხილებელიც იქ, სადაც ამის შემთხვევას ვაძლევს სახელმწიფოებრივი თუ პარტიული ხასიათის მუშაობა.

არავინ უნაკლო არ არის, ცხადია ამ საერთო წესიდან გამონაკლისს არც ჩვენი პარტიული თუ სახელმწიფოებრივი ორგანოები წარმოადგენენ. ეს შეიძლება დაჩემდეს, როგორც დაწესებულებას ისე კერძო პირს, რომელიმე სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი თუ პარტიული თანამდებობის მატარებელს. სულ ერთია რა ხასიათისაც უნდა იყოს ნაკლი ჩვენი მუშაობის: იქნება ის ბიუროკრატიული გაბრუნდება მათი მოვალეობის, პირადი დაუდევრობა, ბოროტ მოქმედება თუ სხვა რამ, ყოველივე მანამდი არის დამრღვეველი და გამნადგურებელი ჩვენი აღმშენებლობითი მუშაობის, სანამ ეს სენი, ეს ბოროტმოქმედება შეუცნობელია ან გამოუაშკარავებელი, სანამ ავადმყოფობა შორს შიგნი არ არის წასული სახელმწიფოებრივ თუ პარტიულ ორგანიზმში ან მის ცალკე უჯრედებში: საზოგადოებრივი დაწესებულებათა და კერძო თანამდებობის პირთა მოღვაწეობაში სინათლის შეტანა, კანცელიარიის „ჯურღმულებში“ შეხედვა, ოფიციალური თვით კმაყოფილების ხელის შეხება და გასინჯვა, ყოველივე ეს შეადგენს ჩვენი პრესის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანათაგანს, რომლის მიზანშეწონილათ და საქმის გამოსადეგათ გადაჭრა ჩვენ შეგვიძლია მივიჩნიოთ პრესის პოლიტიკური ღირებულების ერთ-ერთ თვალსაჩინო საზომათ. დანაშაულობათა გამოაშკარავება მითითება შეცდომებზე და ამხანაგური კრიტიკა ყოველ მსგავს შემთხვევებში შეადგენს ჩვენი პრესის ერთ-ერთ ფუნქციას, უნდა ითქვას, რომ ამ კრიტიკისა და მხილების პრაქტიკას ჩვენში არ მოუკიდია ჯერ კიდევ სათანადო სიმაგრით ფეხი. ეს რასაკვირველია არა იმიტომ, რომ ჩვენ დაწესებულებებში სულყოველისფერი ან სულყოველგან თავის რიგზე იყოს, რომ „на шипке все спокойно“ ან და პრესის მუშაკთა შორის „ჩვენ ამამაღლებელ თვით მოტყუებას“ ჰქონდეს ადგილი. არასფერი ამ გვარი! ეს აიხსნება მხოლოთ საერთო ნაკლით ჩვენი პრესის, რომელსაც კიდევ ვერ მოუთავებია თავისი ორგანიზაცია, თავისი სამუშაო აპარატის აწყობა როგორც საჭიროა ამისთვის, რომ ის დადგეს თავისი დანიშნულების სიმაღლეზე. თუ ჩვენი პრესის მუშაობა ამ მხრივ არ სჩანდა თუ ამ თავის ერთ-ერთ დიდ მოვალეობას ის დღემდე ვერ უსწორდებოდა ან და მხოლოთ აქ იქ და შემთხვევით—ეს, რასაკვირველია, ისე არ უნდა იყოს გაგებული, რომ ყველას შეუძლია თავისი დაწესებულების ნაჭუჭში მოიფთხნას და მის ყოველდღიურ მუშაობაში მუშური საზოგადოებრივი აზრის ორგანომ არ უნდა შეანათოს და თავისი გამაჯანსაღებელი სხივები არ სტყორცნოს ჩვენ დაწესებულებათა მივარდნილ, მიყრუებულ ადგილებს. თუ ასეთი შეხედულება ჩვენი გაზეთების როლზე ამ საქმეში კიაფობდა რომელიმე ბიუროკრატის თავში, დროა ამ „უაზრო ოცნებებს“ და თავის მომატყუებელ იდილიას საზღვარი დაედვას. ამ საზღვრის დადების შესახებ მოაგონებს მათ გაძლიერება ჩვენი პრესის, რომელიც შევა თავის „უფლების სისრულეში“ და ამ დარგშიაც შეასრულებს თავის დანიშნულებას.

სამწუხაროთ მოუწყობლობა ჩვენი ზოგიერთებმა გაიგეს როგორც ნორმალური მოვლენა. ჩვენ შემთხვევა გვქონდა მიგვეცა გაზეთის ფურცლებზე რამოდენიმე მასალა ამა თუ იმ დაწესებულების მოღვაწეობის უარყოფით მხარეებზე, რომელმაც სათანადო გამოხმაურება ვერ ჰპოვა ზოგიერთთაგან, მათ შორის, რომელთაც ეს შეეხებოდა. ასეთი შემთხვევები ჰქონდა მხედველობაში რ. კ. პარტიის მერვე ყრილობას, როდესაც მან დაადგინა, რომ პირები და დაწესებულებანი, რომელთა შესახებ არის ლაპარაკი პრესაში, ვალდებული არიან გააბათილონ გამოქვეყნებული ბრალდება. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ მიმართ აღძრული იქნება რევტრიბუნალის მიერ საქმე.

ამნაირათ პრესის მოვალეობა ამ სფეროში დიდია. უნდა შეიქნეს ჩვენი ქვეყნის მშრომელთა საზოგადოებრივი აზრის ორგანო და მისი სამსჯავროს წინაშე დააყენოს პირები თუ დაწესებულებანი, რომლების მოღვაწეობა გაზრუნდდება და ასცდება მშრომელთა ინტერესებს. მაგრამ ამის შესასრულებლად მათ სჭირდებათ ერთნაირი ავტონომია. ყოფილა კი, მაგალითად რუსეთის პარტიულ პრესაში, წინააღმდეგი შემთხვევა. ასეთი შემთხვევები ჰქონდა მხედველობაში პარტიის იმავე მერვე ყრილობას, როდესაც მას გამოჰქონდა ასეთი დადგენილება: „პარტიულმა კომიტეტებმა უნდა მისცენ რედაქციებს საერთო პოლიტიკური დირექტივები და რჩევა და თვალყური ადევნონ მათ შესრულებას და ამასთან არ ჩაერიონ რედაქციის ყოველდღიურ მუშაობის წვრილმანებში“. „მთელ რიგ შემთხვევებში—სწერს რ. კ. პ. ორკვირეული ორგანო „ვესტნიკ“...—პრესის მუშაკები განიცდიან საგრძნობ გავლენას“... საბჭოთა ხელის უფლების ოთხი წლის შემდეგ კიდევ შესაძლებელი ხდება, თუმცა პროვინციაში,*) შემთხვევები, როდესაც რედაქტორს „ხვდება“ („Влетает“) იმისათვის, რომ მან არ მოათავსა უნიჭო ლექსები ამა თუ იმ ადმინისტრატიული პირის ან და იმიტომ, რომ მისი „ტიტული“ სისწორით არ იყო აღნიშნული“. რასაკვირველია ასეთი დამახინჯებული გაგება გაზეთის ხელმძღვანელის დანიშნულების და წვრილმანი ჩარევა სარედაქციო მუშაობაში მიღებული რამ არის, ის აქარწყლებს სრულიად ბეჭდვითი ორგანოს საზოგადოებრივ წონას და ღირებულებას. ასეთ მიდრეკილებას, საიდანაც არ უნდა გამომდინარეობდეს ის, უნდა გაეწიოს სასტიკი წინააღმდეგობა და ის უკუგდებულ იქნას. მხოლოთ იმდენათ, რამდენადაც პარტიული და საბჭოთა პრესის ორგანოები წავლენ იმ გზით, რომელიც ნაჩვენებია რ. კ. პ. მერვე ყრილობის მიერ, იმდენათ შეასრულებენ ისინი თავის მოვალეობას ჩვენი ქვეყნის მშრომელთა, მათი პარტიისა და სახელმწიფოს წინაშე.

---

*) ზოგჯერ შეიძლება ცენტრშიც. რედ.

„პარტიული კომიტეტები უნდა აძლევდენ რედაქციებს საერთო პოლიტიკურ დირექტივებს და ხელმძღვანელობას, მათ თვალყური ადევნონ დირექტივების ასრულებას, მაგრამ არ უნდა ჩაერიონ სარედაქციო მუშაობის წვრილმანებში“.

(რ. კ. პ. მეთერთმეტე ყრილობა

„პროვინციის პრესას მხედველობაში უნდა ჰქონდეს განსაკუთრებით, მასიური მკითხველი საზოგადოება. ამიტომ, პირველ ყოვლისა, იგი უნდა იყოს ცოცხალი და პოპულიარული, და, მეორეს მხრივ, აშუქებდეს თავის ფურცლებზე გლეხობისა და წითელარმიელების ცხოვრებას. უაღრესი ყურადღება პრესამ უნდა მიაქციოს არმიის ცხოვრებას, როგორც ფრონტზე, ისე ზურგში დგომისას, პარტიულ ცხოვრებას და აგრეთვე ქალთა კომუნისტურ მოძრაობას და წითელ ახალგაზრდობის მუშაობას“.

რ. კ. პ. მე 8 ყრილობა

მუშათა პრესა

(მოკლე ისტორიული მიმოხილვა)

1905 წ. რევოლიუციის დამარცხების შემდეგ რუსეთში დადგა რეაქციის საშინელი სუსხი, რომელმაც სულ ერთიანათ ჩაახშო ყოველგვარი რევოლიუციონური სულისკვეთება მუშათა კლასში. მაგრამ 1911 წლიდან ის ისევ ხელახლა იწყებს ამოძრავებას.

განსაკუთრებით ფართოთ გამოიხატა ეს ამოძრავება ლენის მუშების დახვრეტის ხანაში 1912 წ., როდესაც მოკლულ იქმნა 270 და დაჭრილ 250 მუშა, მხოლოთ იმისთვის, რო მათ მოინდომეს გაეუმჯობესებიათ თავიანთი მდგომარეობა.

ასეთ პირობებში მუშათა კლასში სულ უფრო და უფრო იზრდება მისწრაფება და სურვილი საკუთარი გაზეთის დაარსებისათვის, ეს დიდი ხნით დაგროვილი მოთხოვნილება მოუთმენლათ ეძებდა გამოსავალს.

და აი 22 აპრილს ძვ. სტ. 5 მაის ახ. სტ. 1912 წ. გამოდის ყოველდღიური მუშათა გაზეთი: „პრავდა“ („სიმართლე“). ის გამოხატულება და ხანხორციელება იყო მასიური მუშათა მოძრაობის. მისი წლის თავზე ერთი თანამშრომელი სწერდა: „პრავდა და შეგნებული პროლეტარიატის მასიური მოძრაობა რუსეთში მჭიდროთაა გადანასკული ერთი-მეორეზე: მუშაობა „პრავდაში“ ნიშნავს მუშაობას მასიურ მოძრაობაში, ხოლო მუშაობა მასიურ მოძრაობაში ნიშნავს პირდაპირ თუ არაპირდაპირ მუშაობას „პრავდაში“. და პირიქით, კავშირის გაწყვეტა „პრავდასთან“ ნიშნავს კავშირის გაწყვეტას მასსიურ მოძრაობასთან; გამოსვლა „პრავდის“ წინააღმდეგ ბრძოლა მის წინააღმდეგ ნიშნავს რუსეთის შეგნებულ პროლეტარიატის მასიური მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლას“. და მართლაც ამას სავსებით ამტკიცებდა ცხოვრების მსვლელობა.

„პრავდა“, როგორც ერთგული მოქომაგე მშრომელი დაბეჩავებულ მასებისა, სოფელსაც მოედო და იქაც ავრცელებს განმანთავისუფლებელ იდეებს. გლეხები სწერდენ: „თუმცა ჩვენ მუშები (ქალაქის მუშები) არა ვართ, მაგრამ ყურს ვუგდებთ მათ ხმას და ბევრს რამეს ვსწავლობთ მათგანო“. ბოლოს იქამდისაც კი დავიდა საქმე, რომ აუცილებელი საჭირო გახდა სპეციალურათ „გლეხთა ცხოვრების“ განყოფილების შემოღება გაზეთში.

თანდათან გაზეთის წინაშე იჭრებოდა სულ ახალი და ახალი კითხვები მუშათა მოძრაობიდან და საჭირო ხდებოდა მისი გადიდება შინაარსის მხრივ.

და აი 29 მაისიდან (ძვ. სტ.) 1913 წ. „პრავდა“ გადაიქცა დიდ გაზეთათ.

„პრავდა“ ფართოვდება იმიტომ, რომ მუშათა მოძრაობისთვის ვიწრო შეიქნა თავის გაზეთის ძველი ჩარჩოები... ქაღალდი კი არ შეცვლილა, კორესპონდენციების რიცხვი კი არ გაზრდილა! არა! მთელი რუსეთის პროლეტარიატის მოძრაობამ გადადგა ახალი ნაბიჯი წინ“ ო. („პრავდა“ 29 მაისი, № 122 (326). ასე სწერდა ის მაშინ ამის შესახებ.

მაგრამ ახალ ნაბიჯს დგამდა წინ არა მარტო მუშათა მოძრაობა, არამედ თვით ჯალათი მთავრობაც მუშათა კლასისა და მისი გაზეთის დევნაში ის ყოველგვარ რეპრესიებს მიმართავდა მის წინააღმდეგ, ვინაიდან ხედავდა მასში მუშათა მოძრაობის მებაირაღტრეს. ბევრი წვალება და უბედურება გადაიტანა „პრავდამ“, სანამ ის საბოლაოთ იქნებოდა ჩახრჩობილი 5 ივლისს 1913 წ. თავის არსებობის მე 440 დღეზე.

მაგრამ მუშები დიდხანს არ დარჩენილან უგაზეთოდ. „პრავდის“ მაგიერათ 13 ივლისს იმავე წელს გამოვიდა: „რაბოჩაია პრავდა“ („მუშათა სიმართლე“), რომელმაც იარსება მხოლოთ 18 დღე და მე-17 ნომერზე დახურულ იქნა 1 აგვისტოს. იმავე დღეს გამოვიდა: „სევერნაია პრავდა“ („ჩრდილოეთის სიმართლე“), მაგრამ ისიც დახურულ იქნა 7 სექტემბერს მე 31 ნომერზე. გამოვიდა „პრავდა ტრუდა“ („შრომის სიმართლე“) 11 სექტემბერს, დახურულ იქნა 9 ოქტომბერს მე-20 ნომერზე. შემდეგ გამოვიდა: „ზა პრავდუ“ („სიმართლისათვის“), „პროლეტარსკაია პრავდა“ („პროლეტარული სიმართლე“) და 22 იანვარს კი „პუტ პრავდი“ („სიმართლის გზა“).

ამ დროს მუშათა წრეებში დაიბა და აზრი გამოაცხადონ „პრავდის“ გამოსვლის წლის თავი, 22 აპრილი (ძვ. სტ.) მუშათა პრესის დღეთ მენშევიკებმა (მაშინდელმა ლიკვიდატორებმა) და ესერებმაც გადასწყვიტეს აგრეთვე გამოაცხადონ 22 აპრილი მუშათა პრესის დღეთ, რათა გამოეყენებიათ ის თავის სასარგებლოთ, და ამავე დროს კი სდუმდენ, თუ რატომ იქნა პრესის დღეთ არჩეული სწორეთ 22 აპრილი და არა სხვა რომელიმე დღე.

მოახლოვდა ეს დღეც, 22 აპრილი. ამ დღეს „პუტ პრავდი“ (№ 67) გამოვიდა 4 ფურცლათ. არაჩვეულებრივი იყო გაზეთის გარეგნული სახე: პირველ გვერდზე შუაში—კ. მარქსის სურათი, მის დაბლა ფრ. ენგელსის. მარცხნივ მათგან კლიშეზე გადაღებული „ზვეზდას“ („ვარსკვლავის“) პირველი ნომერი, ხოლო მარჯვნით ასეთივე კლიშეზე გადაღებული „პრავდის“ პირველი ნომერი. მთელი გაზეთი სავსე იყო სხვა და სხვა გვარი სურათებით მუშათა ცხოვრებიდან.

მოთხოვნილება ამ საიუბილეო ნომერზე ისეთი დიდი იყო, როგორც იგივე „პუტ პრავდი“ გადმოგვცემს შემდეგ, რომ „როტაციონური მანქანა, რომელიც ჩვეულებრივათ ბეჭდვას ათავებდა დილით ადრე, მუშაობდა 23 აპრილს მთელი დღეცა და მთელი ღამეც.“

22 აპრილს შემდეგ „პუტ პრავდი“-ს აღარ უცოცხლია დიდხანს და 20 მაისს მე 91 ნომერზე დახურული იქნა. 22 მაისს გამოვიდა „რაბოჩი“ („მუშა“), მაგრამ მხოლოთ ექვსი ნომერი, რის შემდეგაც ის გადაქცეულ იქნა ყოველკვირეულ ჟურნალათ, ხოლო გაზეთი კი გამოვიდა ახალი სახელით: „ტრუდოვაია პრავდა“ („შრომის სიმართლე“), მაგრამ ისიც დახურულ იქნა პირდაპირ ომის წინ, 8 ივლისს (ძველი სტილით) 1914 წ. მე-35 ნომერზე.

ყველა ამ გაზეთებს გარეგნულათ „პრავდის“ სახე ქონდათ, მიუხედავათ იმისა, რომ სახელები ეცვლებოდა. მაგალითად სიტყვა „პრავდა“ იბეჭდება ყოველთვის ერთნაირ შრიფტით. ხოლო სხვა წინსართავი და უკანსართავი სიტყვები კი („სევერნაია“, „პუტ“, „პროლეტარსკაია“ „ტრუდოვაია“) წვრილი შრიფტით, რათა მკითხველს თვალში სცემოდა უმთავრესად და განსაკუთრებით სიტყვა „პრავდა“, როგორც უმთავრესი და ტრადიციული სახელი მუშათა გაზეთისა. ამიტომაც მდაბიო ენაზე ყველა ეს გაზეთები ატარებენ ერთ სახელს: „პრავდას“.

1914 წ. 8 ივლისის შემდეგ კიდევ შეიძლებოდა „პრავდის“ გაგრძელება სხვა სათაურით, მაგრამ იფეთქა საერთაშორისო იმპერიალისტურმა ომმა, რეპრესიები განვითარების უმწვერვალეს წერტილამდი მივიდა, პროლეტარიატიც მიყუჩდა, რათა თებერვალში 1917 წ. ერთი ხელის მოქნევით შორს გადაესტყორცნა თვითმპყრობელობა მისი პოლიციითა და საზოგადოთ რეპრესიებით.

მარტში 1917 წ. ძველ წყობილების ნანგრევებზე აღსდგა და განახლდა ძველი, 1912 წ. 22 აპრილის „პრავდა“, რომელიც დღემდის პირნათლად უძღვება იდეიურის მხრივ მუშათა კლასის განმანათლებელ ბრძოლას სრულ გამარჯვებამდე დასაყვანად.

რაც შეეხება მუშათა პრესას ჩვენში, საქართველოში, უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს მუშათა კლასს, 1917 წ-დე არ ქონებია ყოველდღიური **ჭეშმარიტად** მუშათა გაზეთი, სწორედ იმ სახის, როგორც რუსეთის „პრავდა“.

მართალია, გამოდიოდა ყოველდღიური: „სიმართლის ხმა“, „აზრი“ და სხვა, რომლებიც სოციალ-დემოკრატიულ გაზეთებათ ითვლებოდა და რომლებშიაც ხანდახან ზოგიერთი კომუნისტებიც კი თანამშრომლობდენ, მაგრამ მაინც ფაქტიურად ოპორტიუნიზმის გამტარებლები იყვნენ მუშათა კლასში.

ნამდვილი **მუშათა** პრესა იწყებს თავის არსებობას ჩვენში მხოლოდ თებერვლის რევოლიუციის შემდეგ. თბილისში გამოდის რუსულ ენაზე: „კავკაზსკი რაბოჩი“, რომელსაც შემდეგ ხურავენ მენშევიკები სამუდამოთ. ქართულ ენაზე კი „ბრძოლა“, პირველ ხანებში მხოლოდ კვირაობით და შემდეგ კი ყოველდღიურად, რომელსაც აგრეთვე ვერ ინელებენ მენშევიკები და არბევენ. შემდეგ ქუთაისში იწყებს გამოსვლას „ჩვენი ბრძოლა“, მაგრამ ვერც მას ითმენენ მენშევიკები და 5—6 ნომრის შემდეგ იხურება.

შემდეგ ამისა მაისის 1920 წლამდე (რუსეთთან დადებულ ხელშეკრულების ძალით პარტიის ლეგალიზაციამდე) მუშათა პრესის გამოცემა სწყდება, (თუ მხედველობაში არ მივიღებთ რამდენიმე ნომერს „ვოლნისას“ და „რაბოჩისას“), და მხოლოდ 3 ივნისს, 1920 წ. იწყებს გამოსვლას „კომუნისტი“, მაგრამ მე 11 ნომერზე მას ხურავენ. მის მაგივრად გამოდის „საქართველოს კომუნისტი“, მაგრამ მასაც ასეთივე ბედი ხვდება. შემდეგ გამოდის „ახალი კომუნისტი“, რომელიც დახურულ იქმნა დეკემბერში 1920 წ. მენშევიკების მიერ საბოლოოდ, სანამ მათ ბატონობას ბოლო არ მოეღო.

მაგრამ 25 თებერვლის გადატრიალებამ საქართველოში გაანთავისუფლა აგრეთვე მუშათა პრესაც და „კომუნისტიც“ აღსდგა. პირველ მარტიდან ის იწყებს გამოსვლას და ხდება მთელი საქართველოს მუშათა და გლეხთა მასსების ორგანოთ, რომელიც იდეიურ ხელმძღვანელობას უწევს მათ

პრესას აქვს დიდი მოვალეობა კრიტიკისა პარტიის თვალსაზრისით მოვალეობა ბოროტ-მოქმედების, შეცდომების და ნაკლის გამოაშკარავებისა. პრესა უნდა იყოს მთავარი იარაღი პარტიულ და პროლეტარული საზოგადოებრივი აზრისა, მაგრამ ამ მოვალეობათა შესასრულებლად პრესისათვის აუცილებელია განსაზღვრული უფლებები, გარკვეული საქმიანი ავტონომია.

რ. კ. პ. ც. კ. „ვესტნიკი“

რუსეთის კომპარტიის მე-8 ყრილობის რეზოლიუცია პარტიულ და საბჭოთა პრესის შესახებ

1. სამოქალაქო ომის განმავლობაში პარტიული მუშაობის საერთო შემცირებამ ძალიან ცუდათ იმოქმედა ჩვენი პარტიული და საბჭოთა პრესის მდგომარეობაზე. საერთო ნაკლი თითქმის მთელი ჩვენი პარტიულ და საბჭოთა პერიოდულ გამოცემისა არის—დაშორება ადგილობრივ და ხშირად საერთო პოლიტიკური ცხოვრებიდან. პროვინციალური პარტიული და საბჭოთა პრესა თითქმის სრულებით არ აშუქებს ადგილობრივ ცხოვრებას, ხოლო საერთო საკითხების შესახებ მასალას ძალიან ცუდათ იყენებს. იბეჭდება გრძელი, ნაკლებად საინტერესო წერილები, იმის მაგივრად, რომ მოკლედ და უბრალო ენით დაწერილი წერილებით გამოეხმაურონ საერთო და ადგილობრივი ცხოვრების მნიშვნელოვან საკითხებს. ხშირად მთელი გვერდები უკავია დეკრეტებს იმის მაგივრად, რომ უბრალო და გასაგები ენით გადასცეს მკითხველებს მათში, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი. იბეჭდება სავსებით, სხვადასხვა სახის განკარგულებანი და დადგენილებანი ამა თუ იმ უწყებისა და დაწესებულებისა, იმის მაგივრად, რომ

მთელი ამ მასალიდან შეადგინონ ადგილობრივი ცხოვრების ცოცხალი ქრონიკა.

2. ყოველი ასეთი ნაკლი უმთავრეს შემთხვევაში აიხსნება იმით, რომ საუკეთესო ლიტერატურული ძალები ჩაებმენ სახელმწიფოებრივ მუშაობაში და პრესა უმეტეს შემთხვევებში დარჩა ნაკლებად გამოცდილ მომუშავეთა ხელში.

3. ყრილობას საჭიროდ მიაჩნია, რომ ადგილობრივმა ორგანიზაციებმა დაუყონებლივ უნდა მიიღონ ზომები პარტიული და საბჭოთა პრესის აღორძინებლად. ყრილობა მოაგონებს ამხანაგებს, რომ პრესა მძლავრი იარაღია პროპაგანდისა, აგიტაციისა და დარაზმვისათვის, რომ იგი შეუდარებელი საშუალებაა ფართო მასებზე გავლენის მოსახდენათ,

4 ჩვენი პარტიული და საბჭოთა რესის გასაუმჯობესებლად აუცილებელია: ა) პარტიულ და საბჭოთა გაზეთების რედაქტორად დაინიშნოს ყველაზე უფრო გამოცდილი პარტიული მომუშავენი, რომელნიც ვალდებულნი არიან გაზეთის ფაქტიური მუშაობა აწარმოონ; ბ) პარტიული კომიტეტები უნდა აძლევდენ რედაქციებს საერთო პოლიტიკურ დირექტივებს და ხელმძღვანელობას და თვალყური ადევნონ დირექტივების ასრულებას, მაგრამ არ უნდა ჩაერიონ სარედაქციო მუშაობის წვრილმანებში. გ) სამხედრო ცენზურა ჩაყენებულ უნდა იქნეს ოპერატიულ და სამხედრო საორგანიზაციო ხასიათის საკითხების გარკვეულ ფარგლებში.

5. პარტიულ საბჭოთა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დანიშნულებას შეადგენს სხვადასხვა თანამდებობის პირთა ბოროტ-მოქმედების გამოაშკარავება და მითითება საბჭოთა და პარტიულ დაწესებულებათა შეცდომებზე და ნაკლზე. ყოველივე ეს უნდა სწარმოებდეს აშკარა საქმიანი ამხანაგური ტონით.

ის პირები ან დაწესებულებანი, რომელთა მოქმედების შესახებ ლაპარაკია პრესაში, ვალდებული არიან რაც შეიძლება მოკლე დროის განმავლობაში, იმავე გაზეთების ფურცლებზე მოათავსონ საქმიანი ფაქტიური განმარტება ან უარყოფა ან და აღნიშნონ გამოსწორებული შეცდომები და ნაკლი. იმ შემთხვევაში თუ ასეთი განმარტება ან უარყოფა არ იქნა გამოქვეყნებული, რევოლიუციონური სასამართლო იწყებს საქმეს ასეთი პირის ან დაწესებულების წინააღმდეგ.

6 პროვინციის პრესას მხედველობაში უნდა ყავდეს განსაკუთრებით, მასიური მკითხველი საზოგადოება. ამიტომ, პირველყოვლისა, იგი უნდა იყოს ცოცხალი და პოპულიარული და მეორეს მხრივ აშუქებდეს თავის ფურცლებზე გლეხობისა და წითელ არმიელების ცხოვრებას. მძაფრი ყურადღება პრესამ უნდა მიაქციოს არმიის ცხოვრებას, როგორც ფრონტზე, ისე ზურგში დგომისას, პარტიულ ცხოვრებას და აგრეთვე ქალთა კომუნისტურ მოძრაობას და წითელი ახალგაზდობის მუშაობას.

7. პარტიის ცენტრალური ორგანო განსაკუთრებით ყურადღებას უნდა აქცევდეს პარტიული მშენებლობის საკითხებს. იგი ყოველთვის უნდა აყენებდეს პარტიას, პარტიის ცხოვრების კურსში; იგივე უნდა ხელმძღვანელობდეს პარტიის პროვინციის პრესას და სხვა.

8. ვცნობთ რა იმას, რომ სათანადოთ დაყენებული პრესის გარეშე, შეუძლებელია მაგარი და მტკიცე პარტიული და საბჭოთა აღმშენებლობა, ყრილობა წინადადებას აძლევს ყველა პარტიულ ორგანიზაციებს გამოყოს პრესის საჭიროებისათვის ყველაზე უფრო გამობრძმედილი, ენერგიული ერთგული და მუშაკები.

რუსეთის კომპარტიის ცეკას ცირკულარი პრესის შესახებ

პატივცემულო ამხანაგებო!

სრულიად რუსეთის პერიოდულ პრესის მუშაკთა ყრილობამ აღიარა, რომ პარტიულ საბჭოთა პრესის გაუმჯობესებას უმთავრესად აბრკოლებს ის გარემოება, რომ პარტიული ორგანიზაციები საკმაოთ არ აფასებენ პრესის მნიშვნელობასა და როლს.

სთვლის რა სამართლიანად პერიოდულ პრესის მუშაკთა ყრილობის ამ აზრს, ცენტრალური კომიტეტი წინადადებას აძლევს ყველა საოლქო და საგუბერნიო კომიტეტებს, მიიღონ სახელმძღვანელოდ შემდეგი:

გაზეთების პასუხისმგებელ ფაქტიურად მომუშავე რედაქტორებად უნდა დაინიშნონ საკმაოდ საქმეში ჩახედული, კომპეტენტური და ავტორიტეტული წევრები პარტიულ კომიტეტებისა; სარედაქციო კოლეგიების შემადგენლობაში უნდა ჩაირიცხნენ გამობრძმედილი პარტიული ამხანაგები.

გაზეთებში თანამშრომლობისთვის უნდა მოიზიდოთ პარტიულ დისციპლინის წესით ყველა ადგილობრივი პასუხისმგებელი პარტიულ-საბჭოთა მუშაკები.

მოიწვიეთ რეგულიარულად, თვეში ერთხელ მაინც თანამშრომლები ფაბრიკებიდან და ქარხნებიდან მუდმივი კორესპონდენტების თათბირი.

სისტემატიურად აძლიეთ რედაქციას პარტიული პოლიტიკური დირექტივები უმნიშვნელოვანეს საკითხების შესახებ. ამ დირექტივების ფარგლებში რედაქცია თავის ყოველდღიურ მუშაობის დროს უნდა სარგებლობდეს ფართე საქმიან ავტონომიით და სრულიად დამოუკიდებლად უნდა ასრულებდეს პარტიის მიერ მასზე დაკისრებულ მოვალეობას.

პარტკომების არჩევის დროს კონფერენციებზე მხედველობაში უნდა მიიღოთ, რომ აუცილებლად საჭიროა მათ შემადგენლობაში შევიდნენ ისეთი ამხანაგები, რომლებსაც შეუძლიათ დაიკავონ რედაქტორობის პასუხისმგებელი თანამდებობა.

გაზეთების რედაქტორები და უფრო პასუხისმგებელი თანამშრომლები უნდა განთავისუფლებულ იქნენ ყოველგვარ ადმინისტრატიულ მუშაობისგან როგორც საბჭოთა, ისე პარტიულ საქმეთა სფეროებში.

აღიარებს რა, რომ საგაზეთო მუშაობა წარმოადგენს ერთ ერთ უმნიშვნელოვანეს პარტიულ ფუნქციას და ფიქრობს რა, რომ ჟურნალისტი-კომუნისტები უნდა რაც შეიძლება მჭიდროდ დაუკავშირდნენ რაიონების და უჯრედების ცხოვრებასა და მუშაობას, ცენტრალურ კომიტეტს, საჭიროდ მიაჩნია მიუთითოს პარტიულ ორგანიზაციებს, რომ კომუნისტ ჟურნალისტისთვის ლიტერატურული მუშაობა უნდა შეადგენდეს ძირითად პარტიულ მუშაობას.

უწევს რა ანგარიშს იმ გარემოებას რომ ჟურნალისტი-კომუნისტების კადრი მეტად განსაზღვრულია და რომ გაზეთის პარტიულ სპეციალისტების გარეშე პარტიულ-საბჭოთა პრესა ვერ იქნება რიგზე დაყენებული, ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, რომ აუცილებლად საჭიროა რაც შეიძლება მეტი აღრიცხული ჟურნალისტი საგაზეთო მუშაობაზე იყოს გადაყვანილი. ჟურნალისტების მობილიზაციას, გინდ დროებითი, ც. კ. სთვლის მეტად არ მიზანშეწონილად, ვინაიდან გაზეთი მოითხოვს სისტემატიურ განუწყვეტელ, მიზანშეწონილ მუშაობას. ამასთან ერთად ც. კ. აღნიშნავს, რომ რედაქტორების და პასუხისმგებელ თანამშრომლების ხშირი გამოცვლა დიდ ზარალს აძლევს გაზეთს და ამიტომ ურჩევს პარტკომებს თავი შეიკავონ ამისგან.

რესპუბლიკების ინტერესების დასაცავად აუცილებლად საჭიროა გაბედულად მოსპობილ იქნას ყველა დაბრკოლებანი, რომლებიც წინ უდგანან პარტიულ საბჭოთა პრესას ჩვენი დაწესებულებების და თანამდებობის პირების მუშაობის ნაკლების უარყოფით მხარეების კრიტიკის სფეროში. აუცილებლათ საჭიროა დაევალოს ყველა პასუხისმგებელ მუშაკებს პრესის— განმარტება მისცენ ხოლმე გამოქვეყნებულ ფაქტების გამო. ამავე დროს პარტკომებმა არას შემთხვევაში არ უნდა დაუშვან, რომ ამ კრიტიკამ სახელი გაუტეხოს საბჭოთა ხელისუფლებას.

პარტიული კომიტეტები მოვალენი არიან გაბედულად აღკვეთონ ცალკე პირობების და დაწესებულებების ყოველი ცდა ძალდატანებით დაუშალონ გაზეთების რედაქციებს შეასრულონ თავიანთი მოვალეობა, რომელიც სრულადაა დასურათებული რ. კ. პ. მე-8 ყრილობის რეზოლიუციაში პარტიულ საბჭოთა პრესის შესახებ.

ცენტრალური კომიტეტი მიაქცევს პარტკომების ყურადღებას მასზე, რომ ადგილობრივ პრესის საშუალებით იწყო დენა „ობივატელ მეჩხურმა" სულისკვეთებამ. აუცილებლად საჭიროა გაბედული ბრძოლა აწარმოვოთ, რომ გაზეთების რედაქციებმა არ გადაუხვიონ რ. კ. პ. პოლიტიკურ გეზსა და ტაქტიკას.

ც. კ. იმედი აქვს, რომ პარტიული ორგანიზაციები ამ ცირკულიარის საფუძველზე უზრუნველყოფენ ადგილობრივ პრესაში პარტიულ გავლენას და უშველიან მას, შეასრულონ ის ამოცანები, რომელიც მას წინ დაუყენეს ახალმა პირობებმა.

რ. კ. პ. ც. კ. მდივანი **მიხაილოვი**.

რ. კ. პ. ც. კ. სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგის მდივანი **ი. იაკოვლევი**.

გენუის კონფერენცია

მოკავშირეთა კონტრ-მემორანდუმი

გენუა. 2 მაისი. (იტალიის რადიო). ანტანტისა და აგრეთვე პოლონეთის, რუმინიის, შვეციისა და შვეიცარიის წარმომადგენლები 1 და 2 მაისის განმავლობაში განაგრძობდენ მუშაობას იმ კონტრ მემორანდუმის მუხლების განსახილველად, რომელიც უნდა გადაეცეს რუსეთის დელეგაციას. ირჩეოდა მუხლები, რომელიც წარმოდგენილი იყო საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის დელეგაციების მიერ. მე-3 და მე 4 მუხლები (სახელმწიფოს და მუნიციპალიტეტების ვალები და საზოგადოებრივ სასარგებლო წარმოებანი) მიღებულ იქნა საფრანგეთის დელეგაციის რედაქციით. მე-5 და მე-7 მუხლები (უფლება და მოვალეობანი) აგრეთვე მიღებულ იქნა პრინციპში სეიდუს (საფრანგეთი) ფორმულიროვკით და გადაეცა სარედაქციო კომისიას, რომლის შემადგენლობაშიც შეყვანილ იქნა გოლანდიის წარმომადგენელიც. ასევე გადაწყდა საკითხი მე 3 მუხლის შესახებ (შერეული სამედიატორო სასამართლო); უკანასკნელი ტექსტი შემუშავებული იქნება საფრანგეთისა და ინგლისის პროექტების შეერთებით; ამასთან მხედველობაში მიღებულ იქნა კამათის დროს შეტანილი შესწორება. მე-9 მუხლი (უცხოელთა უფლების დაცვა) მიღებულ იქნა საფრანგეთის დელეგაციის რედაქციით, მცირეოდენი შესწორებით; იგი შეტანილ იქნება მემორანდუმის საერთო შესავალ ნაწილში. მე 10 მუხლი ინგლისის პროექტებისა (სასამართლო და ვაჭრობის პირობები) მოწონებულ იქნა არსებული შინაარსითა და ფორმით. მე 12 მუხლი საფრანგეთის პროექტისა ომამდე დადებული სავაჭრო შეთანხმებანი პრინციპში მიღებულ იქნა ლოიდ ჯორჯის მიერ შეტანილი შესწორებით. შემდეგ გარჩეულ იქნა მე-6 მუხლი სარედაქციო კომისიის მიერ წარმოდგენილი. ეს მუხლი მცირეოდენი შესწორებებით მიღებულ იქნა, თუმცა ბელგიის დელეგაციამ ამ მუხლის კენჭის ყრის დროს წინააღმდეგ მისცა ხმა

გენუა 2 მაისი, (იტალიის რადიო). 2 მაისს 16 საათზე დანიშნულია სხდომა კონტრ-მემორანდუმის საერთოდ საბოლოოდ განსახილველად.

კერძო საკუთრება.

ნაუენი. 1 მაისი (გერმანული რადიო). კონტრ-მემორანდუმის განხილვის დროს, ბელგიის წარმომადგენელმა უასპარმა მკაცრად გაილაშქრა ლლიდ ჯორჯის წინადადების წინააღმდეგ კერძო საკუთრების საკითხის შესახებ. იტალიის დელეგაციამ, რომელიც ყოველთვის შემარიგებელის როლს თამაშობს მოწინააღმდეგეთა შორის, ამ საკითხში გადაჭრით მხარი დაუჭირა ლოიდ-ჯორჯს და დაიცვა ინგლისის თვალსაზრისი.

ბორდო. 1 მაისი, (ფრანგული რადიო). ბელგიის დელეგაციამ გადასწყვიტა მომავალში აღარ მიიღოს მონაწილეობა რუსეთის პრობლემის განხილვაში. ლოიდ-ჯორჯთან განხეთქილების შესახებ აცნობეს ბრიუსელში. ბელგიის დელეგაციამ გადასწყვიტა მხოლოდ იმ შემთხვევაში შესცვალოს თავისი თვალსაზრისი, თუ მიიღებს სათანადო ინსტრუქციებს ბელგიიდან.

მემორანდუმი მოწონებულია.

გენუა. 1 მაისი, (იტალიის რადიო) გენუას კონფერენციის ტეხნიკურ პოლიტიკურ კომისიამ მოიწონა ახალი ტექსტი იმ მემორანდუმისა, რომელიც უნდა გადაეცეს რუსეთის დელეგაციას. ეს მემორანდუმი მოუწოდებს რუსეთის დელეგაციას უარი სთქვას კომუნისტურ აგიტაციაზე. რუსეთს სამხედრო ვალებში გარანტია ეძლევა მოკავშირეებთან თანასწორ უფლებიანობისა. კერძო საკუთრების შესახებ მემორანდუმში შეტანილია მუხლები, რომლითაც გარანტია იძლევა მოლაპარაკებისათვის იმ პირობით თუ დაარსებულ იქნება ნორმალური სასამართლოები.

პარიზი. 2 მაისი (ფრანგული რადიო) ჩიჩერინი ბარტუს სახელზე გაგზავნილ წერილში არწმუნებს, რომ საბჭოთა მთავრობას სურს საფრანგეთთან მეგობრულ დამოკიდებულებაში იყოს. მაგრამ ჩიჩერინი თავის წერილში სრულებით არ ეხება იმ საკითხებს, რომელიც ერთგვარად აინტერესებს რუსეთსა და საფრანგეთს. ჩიჩერინი თავის წერილში სხვათა შორის ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ რუსეთ გერმანიის ხელშეკრულებაში არავითარი სამხედრო მუხლები არ არსებობს. ხელშეკრულების მიზანია მხოლოდ რუსეთ გერმანიის ურთიერთობის აღდგენა. ჩიჩერინი აცხადებს, რომ ეს ხელშეკრულება ქმნის შესაძლებლობას ახალი სხვა სეპარატიულ ხელშეკრულებების დადებისას და აღნიშნავს იმ საერთო ხასიათის საკითხებს, რომელნიც აახლოვებენ რუსეთსა და საფრანგეთს და ქმნიან შეთანხმების პრაქტიკულ შესაძლებლობათ. ჩიჩერინი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ რუსეთს სურს გაფანტოს რუსეთსა და საფრანგეთს შორის არსებული ყველა გაუგებრობა და გამოსთქვამს რწმენას ორივე ამ სახელმწიფოთა შორის მეგობრული დამოკიდებულების აღდგენისას, რაც ეგზომ საჭიროა ევროპის ეკონომიურად აღდგენის მიზნებისათვის.

ინსტრუქციები მოსკოვიდან.

ნაუენი. 2 მაისი (გერმანული რადიო) შექმნილი მდგომარეობა ძლიერ სერიოზულად მიაჩნიათ. გენუაში გამოირკვა, რომ რუსეთის დელეგაციას მოუვიდა მოსკოვიდან ახალი ინსტრუქციები არ მიიღოს არავითარი წინადადება, თუ ის მიმართულია რუსეთის თვითგამორკვევის უფლების შემზღუდველისაკენ. მოსკოვიდან მიღებული ინსტრუქციების მიხედვით, დელეგაციამ კატეგორიულად უნდა მოითხოვოს რუსეთისათვის ფინანსიური და ეკონომიური დახმარების აღმოჩენა.

საბჭოთა რუსეთი გამარჯვების წინ.

გენუა. 3 მაისი. (იტალიის რადიო). იმ მემორანდუმის შესახებ, რომელიც გადაეცემა რუსეთის დელეგ გვაქვს შემდეგი ცნობები: რუს დელეგა[illegible] რანდუმში [illegible] თისათვის [illegible] მისაღებია სწორედ ის რომ მუხ რომლებმაც გამოიწვია დიდი კ თი. მემორანდუმის მე-2 რე მუხ რომელიც ეხება ომის დროინდელ ლებს, არსებითად აყენებს სამ პუნქ 1) რუსეთი არ იქნება ვალდებ აწარმოოს რაიმე გადახდა ომის დრ ძირითად ვალების ან მისი პრო ტებისა, სანამ არ დაისმება საერ კითხვა ყველა მოვალეთა შესახებ. რიგად რუსეთის ომის დროის ვა ბის შესახებ საკითხი დასმული იქ ბა ყველა მოკავშირე ქვეყნების ლებთან დაკავშირებით. 2) როდე მიღწეულ იქნება შეთანხმება ომ დროის ვალების შესახებ რუსეთს რედგინება იგივე პირობები, რომ ლიც მიღებული იქნება მოკავში სახელმწიფოებისათვის. 3) მიღებ იქნება მხედველობაში განსაკუთ ბით რუსეთის ეკონომიური და ნანსიური მდგომარეობა, რომელ რა თქმა უნდა, უარესია ვიდრე ყ ლე სხვა მოვალე სახელმწიფო მდგომარეობა. რუსეთი თუ გაუწ ანგარიშს ამ მოსაზრებებს, უარი და განაცხადოს თავის კონტრ მო ხოვნილებებზე, რომელ აც ის აყენ სამოქალაქო ომთან დაკავშირებ ასეთია აღნიშნული მუხლის მთავ აზრი. ფორმით ის წარმოადგენს ს ბჭოთა მთავრობის მარით ომის დრო დელ ვალების ცნობას თუმცა რუ თის კონტრ-მოთხოვნილებები უ ყოფილია, მაგრამ მას მაინც სათა დო ანგარიშს გაუწევენ. მუხლი, რ მელიც ეხება კერძო საკუთრებას, ბოლოო რედაქციაში იწყება კან პირველი პირობის ფართე განმარ ბით, სახელდობრ: საბჭოთა მთავრ ბას, როგორც ყველა სხვა მთავრ ბებს, ენიჭება უფლება თავისი ქვ ნის ფარგლებში იმ სოციალური წყ ბილების და საკუთრების რეჟიმ თავისუფალი დამყარებისა, რომე საც ის ამჯობინებს. ამ შესავალ ნ წილის შემდეგ იწყება პირობებ კონკრეტიული დალაგება. მერე შერეულ სამედიატორო სასამართლო ბის სისტემა, რომლებმაც უნდა გ ნიხილონ საკუთრების დაბრუნებ ანუ ჩამორთმეულ საკუთრების ან ზღაურების საკითხები და განსაკუ რებით კი გამოიმუშაონ საერთო ს ხით კომპენსაციის პრინციპები.

კონფერენციის გარშემო

პაპის სურვილი.

ბერლინი. 3 მაისი (გერმანული რადიო) ლოიდ ჯორჯი გამოსთქვამს სრულ კმაყოფილებას პაპის უკანასკნელი წერილით და დარწმუნებულია, რომ პაპა აიძულებს ევროპის მთავრობებს,* რათა მიღწეულ იქნას საზავო შეთანხმება რუსეთთან.

საფრანგეთი

ბარტუს გამგზავრება.

გენუა 3 მაისი (იტალიური რ დიო) საფრანგეთის დელეგაციის თა მჯდომარე ბარტუ, 2 მაისს გაემგზა რა პარიზში. ბარტუმ აღუთქვა გ ნუაში დაბრუნება არა უგვიანეს შ ბათისა.

გაზეთის მნიშვნელობა

გაზეთს კითხულობს ყველა. ეს გარემოება განსაკუთრებით საზღვარგარეთ გვხდება თვალში, სადაც თითქმის ყველამ იცის წერა-კითხვა. აბა შეიხედეთ დილით ტრამვაის, ომნიბუსების, მიწის ქვეშა და ზედა პირზე მავალ რკინის გზის ვაგონებში, რომელნიც ყოველ მიმართულებით სერავენ მსოფლიოს სატახტო ქალაქებს—ლონდონს, პარიზს, ნიუ-იორკს, ბერლინს,—და თქვენ დაინახავთ, რომ ყოველ მგზავრს ხელში უკავია გაშლილი გაზეთი.

ნაშუადღევს, როდესაც გამოდის საღამოს გაზეთები, პატარა ბიჭები—მეგაზეთეები, ყურეში ატეხულნი პირდაპირ აჩეჩებენ ხელში გამვლელ-გამომვლელს ახლად დაბეჭდილ გაზეთის ფურცლებს, სწორედ ისევე, როგორც არიგებენ ქუჩებში უფასო ფურცლებს—განცხადებებს. გაზეთის დამტარებლებმა იციან, რომ საღამოს გაზეთს იყიდის თითქმის ყოველი გამვლელი იშვიათი გამონაკლისით.

და მთელი დღის განმავლობაში, შუაღამემდის რამდენი დამატებითი გამოცემაც არ უნდა გამოუშვას გაზეთმა, ყველას იტაცებს გაუმაძღარი მკითხველი საზოგადოება. გაზეთი სჭირდება ყველას. იგი აინტერესებს თვითეულ ადამიანს.

ბევრი რამ აერთებს მკითხველს გაზეთთან. პირველ ყოვლისა იგი ეძებს მასში ახალ ამბებს, უკანასკნელ ცნობებს დედა მიწის ყოველ კუთხიდან. ამ შემთხვევაში მას ახელმძღვანელებს არა მარტო უბრალო ცნობის მოყვარეობა, არამედ ელემენტარული მზრუნველობა თავის თავისა და საკუთარი ინტერესების შესახებ. ყველასთვის აუცილებელია იცოდეს რაიმე ახალი საკანონმდებლო აქტების შესახებ, შინაური და გარეშე პოლიტიკის ცნობები და ადგილობრივი ცხოვრების ამბები.

თანამედროვე გაზეთი ცდილობს ანგარიში გაუწიოს ცხოვრების ყოველგვარ წვრილმანს და გამოაქვეყნოს ცნობები ყოველგვარი გემოვნებისა. იგი იუწყება ბირჟის ღირებულებათა ფასს, რომელიც ფრიად მნიშვნელოვანია ფასიანი ქაღალდების მესაკუთრეთათვის, იძლევა სტენოგრაფიულ **ანგარიშს პარლამენტის** სხდომებისას, რომელიც საინტერესოა პოლიტიკური მოღვაწისათვის, ბეჭდავს ახალ ცნობებს სპორტისა და თეატრალური ცხოვრებიდან, რაც საყურადღებოა სპორტსმენებისათვის და თეატრის მოყვარულთათვის; იგი თვალყურს ადევნებს წიგნის ბაზარის ახალ ამბებს, სასამართლოს საქმეებს, ადგილობრივ გადასახადებს, მიტინგებსა და ლექციებს, დასასრულ გაზეთი ბეჭდავს ყველასათვის ფრიად მნიშვნელოვან მასალას—განცხადებებს. განცხადებები, სამაგალითო ევროპიული პრესისა, იკითხება არა ნაკლები ყურადღებით, ვინემ თვით ტექსტი.

ეს განცხადებები აძლევს მკითხველს აუარებელ ცხოვრებაში გამოსადეგ ცნობებს—პროდუქტებისა და შეშის ფასს, ტანთსაცმელის მოდას, საშობაო საჩუქრების სახეს, ცნობებს ახალი წიგნებს და ჟურნალების, კონცერტებისა და წარმოდგენებისა, ქორწინებისა და გარდაცვალების შესახებ.

ბურჟუაზიული გაზეთი სცდილობს დააკმაყოფილოს ყოველგვარი მოთხოვნილებები, მისცეს წასაკითხი მასალა ყველას—უბრალო მკითხველიდან დაწყებული ლორდამდე. იგი ვირტუოზია ახალი ცნობებისა და ამბების გამონახვაში, რომელიც ეხება ყოველი მკითხველის ინტერესებს—ასე გასინჯეთ ვიგინდარა საფოსტომარკების შემკრებელს ან სპეციალისტ ტეხნიკოსსაც.

მაგრამ არა მარტო ინფორმაცია იზიდავს მკითხველს. მას აინტერესებს აგრეთვე იმ ცნობების გაშუქებაც, რომელსაც იგი გაზეთში პოულობს. არავის არ აკმაყოფილებს უბრალო გადმოცემა საზოგადოებრივი, პოლიტიკური ან ყოველდღიური ცხოვრების ფაქტებისა—ყველას სურს ამოიკითხოს შეფასება ამ ცნობებისა და მისდამიხედვით გამოარკვიოს თავისი დამოკიდებულება ამ ფაქტებთან.

ამ გვარი მისწრაფება, ამოიკითხოს გაზეთში, განსაკუთრებით პარტიულში, მოქმედების სახელმძღვანელო აზრი და მომხდარი ამბების შეფასება,—აძლევს ყოველ დღიურ პრესას განსაკუთრებულ მნიშვნელობას.

თუმცა გაზეთი სცხოვრობს მხოლოდ ერთ დღეს, ან და, პირდაპირ, რამოდენიმე საათს, თუმცა გაზეთის სტრიქონებს კითხულობენ მხოლოდ ერთხელ და შემდეგ მას აღარ გადიკითხავენ – მაგრამ არ არის სხვა ისეთი ბეჭვდითი სიტყვა, რომელიც უფრო ძლიერ მოქმედებდეს მკითხველზე, ვინემ გაზეთი. ისევე, როგორც არ არსებობს სხვა ისეთი ბეჭვდითი ნაწარმოები, რომელიც იკითხებოდეს მეტის ყურადღებით და მკითხველთა ამოდენა რიცხვისაგან.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ინგლისურ ენაზე მოლაპარაკეთა შორის შეიძლება მოვნახოთ მილიონი ისეთები, რომელთაც არას დროს არ წაუკითხავთ „ჰამლეტი", ან უელსის რომანები, მაგრამ ვერ ნახავთ ისეთ ვინმეს, რომელსაც არ წაეკითხოს ცნობა რომელიმე დიდ საზღვაო ბრძოლისა, რუსეთის რევოლიუციონური მოძრაობის ან გერმანიის დამარცხების შესახებ.

ეს გრანდიოზული, რამოდენიმე მილიონიანი აუდიტორია თვითონ ქმნის განსაკუთრებულ ავტორიტეტს გაზეთის ცნობებისა და წერილობისათვის.

გაზეთის თვითეული ნომერი იკითხება საშვალოდ 4-5 მკითხველისაგან. თუ ამ რიცხვს გავამრავლებთ ევროპიულ გაზეთების ტირაჟზე, ჩვენ მივიღებთ თითქმის მცხოვრებთა წერა-კითხვის მცოდნე მოზრდილთა მთელ რიცხვს.

საკაცობრიო კრიზისებისა და რევოლიუციის დროს—როგორც ტირაჟი, ისე მნიშვნელობა გაზეთისა უჩვეულო სისწრაფით იზრდება. ამბების თავდაუვიწყებელი სრბოლა იზიდავს გაზეთზე განსაკუთრებულ ყურადღებას. გაზეთი მაშინ იქცევა იმ ფოკუსად, რომელშიც იკრიბება ყველა სხივები მკითხველის ყურადღებისა და ინტერესისა.

ეს გარემოება საშვალებას აძლევს პრესას გახდეს საზოგადოებრივი აზრის კანონმდებელი, ფაქტების შეგნებულად გამორჩევით, ზოგიერთ ცნობების მიფუჩეჩებისა, ხოლო დანარჩენებისათვის მკაფიოდ ხაზის გასმის წყალობით, მომხდარ ფაქტების ხელოვნურად გაშუქების მეოხებით, თანამედროვე ბურჟუაზიული პრესა უკარნახებს ფართო წრეებს თავის იდეოლოგიას, ხოლო გაბატონებული კლასები კი თავის ნებას.

უკვე ისტორიას ჩაბარდა ის დრო როდესაც პერიოდული პრესა იყო გამოსახულება ზოგიერთ მაღალ-ნიჭიერ ჟურნალისტების აზრისა, ან და ჟურნალი იქმნებოდა ერთი დიდი ლიტერატურული სახელის გარშემო რომელიც ტონს აძლევდა მთელ გამოცემას. ასეთი გაზეთები და ჟურნალები გაქრენ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში უშედეგოთ.

თვითეულ ცალკე მწერალს უკვე აღარ აქვს შესაძლებლობა გავლენა მოახდინოს საზოგადოებრივ აზრზე რაღაც „თავისი" გამოცემის წყალობით. კაპიტალისტური მეურნეობის საერთო პირობებმა და კერძოთ გაზეთის ტეხნიკურად მოწყობის საოცარმა სიძვირემ, სავსებით გააქარწყლა ასეთი ცდა. ამ ჟამად გაზეთი ყოველთვის არის საკუთრება პარტიის, სინდიკატის, მსხვილ ფინანსისტების, ბანკების და სხვათა.

ყოველ გაზეთის წარმოებას აუცილებლად უკან უდგას მწარმოებელი ან რომელიმე სოციალური ჯგუფი და ამიტომ ის საზოგადოებრივი აზრიც, რომელსაც ქმნის ყოველდღიური პრესა, მიუცილებლად გამოსახავს გაზეთის ამ მესაკუთრეთა მისწრაფებებს და სიმპატიებს, რომელიც უფრო ხშირად დამალულია მკითხველის თვალთახედვიდან ფიქტიურ, არავითარი მნიშვნელობის მქონე რედაქტორის ან გამომცემლის უკან.

გაზეთის საქმეში, ამ ბოლო ხანებში, აშკარად ისახება ტენდენცია გაზეთის წარმოების შეერთებისა. უკვე დღეს კერძო კაპიტალისტს აღარ შესწევს ძალა აწარმოოს საქმე მარტო თავისი იმედითა და რისკით. დაიბადა ეკონომიური მოთხოვნილება მთელ რიგ გამოცემათა შეერთებისა. ამ რიგათ შეიქმნა რამოდენიმე მსხვილი საგაზეთო ტრესტი განსაკუთრებით ამერიკასა და ინგლისში. ლოიდ ნორტკლიფის ცნობილმა საგაზეთო სინდიკატმა, სულ რაღაც ათი წლის განმავლობაში, შეიძინა საკუთრებად შემდეგი მნიშვნელოვანი დიდი გამოცემანი: „ტიმეზ"-ი, „დეილ-მეილი" (რომელიც ერთდროულად იბეჭდება სამ ქალაქში: ლონდონსა, პარიზსა და მანჩესტერში), საღამოს გაზეთი „ევენინგ ნიუს"-ი. კვირეული „ვეეკლ დისპატში", ყოველდღიური სურათებიანი „დეილ მიროსი", რამდენიმე პროვინციალური გამოცემა და რამოდენიმე ყოველკვირეული და ყოველთვიური გამოცემა (საზოგადო და სპეციალი). ეს სინდიკატი თანდათან ფართოვდება და სყიდულობს სულ ახალ და ახალ გაზეთებს. ინგლისში რამოდენიმე ასეთი საგაზეთო კავშირია. უფრო დიდია მათი გავლენა ამერიკაში, რომელიც ტიპიური ქვეყანაა ტრესტებისა და სინდიკატების.

საგაზეთო სინდიკატებს, ბოლოს და ბოლოს, აწარმოებენ მსხვილი ფინანსისტები, ფინანსიური ჯგუფები და ისინი მმართველი წრეების მორჩილ იარაღს წარმოადგენენ: დიდი ომის მომზადებაში საგაზეთო პრესას, რომელიც მოსყიდული იყო ფინანსიური კაპიტალისაგან, ქონდა განსაკუთრებული მნიშვნელობა. ეს იმპერიალისტური პრესა მოწიწებით ემსახურებოდა მსხვილი ინდუსტრიის მეთაურებს და მეომარ პოლიტიკანებს, ამწვავებდა რა შოვინისტურ გრძნობებს და ავრცელებდა რა ფანტასტიურ ხმებს საგარეო მტრებისა და მათი მზაკვრული მიზნების შესახებ.

მმართველ წრეებს საშვალება ქონდათ გავლენა მოეხდინათ პრესაზე და საზოგადოებრივ აზრზე, არა მარტო პერიოდულ გამოცემათა უშუალო ხელმძღვანელობის მეოხებით, არამედ პრესის მოსყიდვითაც. საერთაშორისო ომის წინა ხანებში ევროპის ბურჟუაზიული პრესა დახასიათდება ამგვარი მოსყიდვის მრავალი შემთხვევებით. სრული უფლებით უპირველესი ადგილი, მსოფლიოში, მოსყიდულ პრესის შორის, უნდა დაიკავოს საფრანგეთის პრესამ. ტყუილად კი არ განუცხადებია ამაყათ, ერთ მშვენიერ დღეს, საფრანგეთის ერთ ერთ გაზეთს შემდეგი: „მის დღევანდელ ნომერში არ არის არც ერთი გადაუხდელი ჰწკარი". გადაუხდელი არა რედაქციის მიერ, არამედ რედაქციის მხრივ სხვა სიტყვებით რომა ვსთქვათ, ყველა იმისათვის, რაც იმ დღეს გაზეთმა დაბეჭდა, დაწყებული წერილებიდან ფელეტონით და რეცენზიით და დამთავრებული განცხადებებით, ვინც დაინტერესებული იყო გაზეთში გამოქვეყნებული მასალით.

ყველა ფინანსიურ და საბირჟო აფიორას საფრანგეთში. თან სდევს პრესის მოსყიდვა. ყოველგვარ პოლიტიკურ კომბინაციას, საგარეო სესხის განაწილებას და საერთაშორისო გამოსვლებს დიდი სარგებლობა მოაქვთ საფრანგეთის პრესისათვის. მარტო მეფის მთავრობა, თავისი სუბსიდიებითა და დახმარებით, აძლევდა პარიზის პრესას მნიშვნელოვან შემოსავალს, რაც ძლიერ ეხმარებოდა ბურჟუაზიულ პრესას შეეთვისებია პეტერბურგისათვის გამოსადეგი ტონი, რუსეთის საქმეებისა და განსაკუთრებით რევოლიუციონურ მოძრაობის მიმართ.

საერთაშორისო ბურჟუაზიას, რომელსაც თავისი პოლიტიკური და ეკონომიური ბატონობის წყალობით ეკუთვნოდა მთელ ქვეყნიერებაზე არსებულ გაზეთების უმრავლესობა, ხელში ეპყრა ყველაზე უფრო ძლიერი საშვალება მასებზე გავლენის მოსახდენათ. პრესა ჯაჭვის ერთი იმ რგოლთაგანი იყო, რომელიც პროლეტარიატს უბორკავდა ხელებს და ფეხებს. პრესის, სკოლისა და ეკლესიის მეოხებით ბურჟუაზია დაეპატრონდა ყველა საშვალებებს მასების, მათთვის გამოსადეგ მისწრაფებებით, აღზრდისათვის. დღითი დღე იგი სწამლავდა მუშას თავისი მსოფლ მხედველობის საწამლავით და ქმნიდა მას თავისი ნებისა და კულტურის ყურ მიჯრილ ყმათ.

მუშური და მით უმეტეს სოციალისტური პრესა ომის წინ საოცარ საცოდავ მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი. ინგლისმა, მიუხედავათ მუშათა მოძრაობის გიგანტურად გაზრდისა, მხოლოდ 1913 წელში შექმნა ორი ახალი **ყოველდღიური** გაზეთი. ორივე ეს გაზეთი დაიხურა ომის დაწყების უმალ ამერიკაში, მის ასეულ გაზეთებთან ერთად, სოციალისტური პრესა შეიცავს რამოდენიმე ათეულს ან მეტს გამოცემათა სახელებს, რომელთა ტირაჟიც ბურჟუაზიულ პრესასთან შედარებით უმნიშვნელოა.

საფრანგეთში, უმთავრეს გაზეთებსა კი, რომელსაც სცემდენ მუშათა ორგანიზაციები (მაგალითად „უმანიტე") ქონდათ ძლიერ უმნიშვნელო ტირაჟი და მუდამ დეფიციტს განიცდიდენ გერმანიაში არსებობდა ცოტათ თუ ბევრად საგრძნობი სოციალ დემოკრატიული პრესა, მაგრამ იგი მოწამლული იყო ოპორტიონიზმის შხამით და როგორც ეს ომის გამოცდილებ გვიჩვენა, იგი უფრო მომჭინე დამცვ ლი აღმოჩნდა ბურჟუაზიისა, ვინ მოსყიდული არა სოციალისტურ პრესა.

მუშური და სოციალური პრესის სუსტი განვითარება აიხსნება იმ დ მორჩილებითი როლით, რომელიც წ ლად ხვდა პროლეტარიატის კაპიტ ლისტურ საზოგადოებაში. რადგანა პროლეტარიატს არ ქონდა პოლიტ კური ხელისუფლება სავსებით ხელშ რასაკვირველია მას არ შეეძლო და პატრონებოდა პრესაც,—რომელი მნიშვნელოვანი იარაღია გაბატონ ბული პარტიისა. მუშათა პრესის გან ვითარებას ხელს უშლიდა აგრეთვ მთელი რიგი სხვა მიზეზებისაც—ფუ ლის უქონლობა, რათა მას შეძლებ ქონოდა კონკურენცია გაეწია ბურ ჟუაზიული პრესისათვის, საგარეო პო ლიტიკური დაბრკოლებანი და დევნ რომელიც პირველ ყოვლისა, ყველ ქვეყნებში, თავს დაატყდა სოცია ლისტურ გამოცემებს და სხვა.

მხოლოდ რუსეთის მუშათა კლას მიერ, პირველად ისტორიაში, ხელის უფლების ხელში ჩაგდებამ, წამოაყ ნა საკითხი სოციალისტური პრე სის მთელი სიფართოვითა დ სავსებით ორგანიზაციის შესახებ რუსეთის მუშებს და გლეხო ბას, სოციალისტური რესპუბლი კის დაარსებისათანავე, მიეცათ საშ ვალება დაპატრონებოდნენ ყველ იმ მატერიალურ საშვალებებს, ურომ ლისოდაც პრესას არ შეეძლო არს ბობა და განვითარება; პირველ ყოვ ლისა მან ხელთ იგდო ბურჟუაზიულ გაზეთების სტამბები, ქაღალდის მა რაგი, პრესის ტეხნიკური აპარატ შენობათა მოწყობილობა და სხვა.

ამ ჟამად რუსეთის მუშურ გლეხუ რი პრესა განვითარების განსაკუთრე ბულ პირობებშია ჩაყენებული. მი წინ გადაშლილია ყოველგვარი შესა ძლოებანი, მაგრამ მის მუშაობა ძლიერ აბრკოლებს გამოცდილ საგა ზეთო მომუშავეთა უყოლობა და აგ რეთვე გაუცნობლობა მწერალ ამხა ნაგთა უმრავლესობისა გაზეთის ტეხ ნიკის საფუძვლებისადმი.

ამ მიზნით აუცილებელია გამოვი ყენოთ ბურჟუაზიისა და განსაკუთრე ბით ევროპისა და ამერიკის პრესის მდიდარი გამოცდილება და მის საფუძვლებზე შევქმნათ კადრი მომზადებულ საგაზეთო მუშაკებისა.

საფრანგეთის პარლამენტის მოწვევა.

ნაუენი. 3 მაისი (გერმანული რადიო) საფრანგეთის მთავრობამ პარლამენტს მოიწვია გაერთიანებული სხდომა დეპუტატთა პალატის და საფრანგეთის სენატის საგარეო საქმეთა კომისიის. დეპუტატთა პალატამ მოისმინა ბარტუს მოხსენება შესახებ გენუის კონფერენციის მუშაობისა.

პრესის აზრი.

ნაუენი 3 მაისი (გერმანული რადიო) ბულუა იუწყება, რომ საფრანგეთი მალე საბოლოოდ გამოარკვევს თავის პოზიციას ევროპის მიმართ.

საფრანგეთმა უნდა მოახდინოს არჩევანი რეალურ პოლიტიკისა და მოსალოდნელ პოლიტიკურ იზოლიაციის შორის.

გარანტიების ხელშეკრულება.

ნაუენი, 3 მაისი. (გერმანული რადიო). პუანკარემ განუცხადა ჟურნალისტებს, რომ საფრანგეთის თანხმობა გარანტიების ხელშეკრულებაზე ხელის მოწერისა, სავსებით ეთანხმება ხალხთა ლიგის დებულებების მე 10 მუხლს. ამით არ ისაზღვრება საფრანგეთის უფლებები „სანქციათა“ რეჟიმზე. პუანკარემ შემდეგ აღნიშნა, რომ გერმანიამ შეიძლება უარიც არ სთქვას თავის ვალდებულებათა აღსრულებაზე.

ინგლისი.

ლოიდ ჯორჯის გამგზავრება.

ნაუენი, 3 მაისი, (გერმანული რადიო) იტყობინებიან, რომ ლოიდ ჯორჯი ორი დღით გაემგზავრება ჟენევიდან.

თემთა პალატაში.

ბერლინი, 3 მაისი, (გერმანული რადიო) ჩემბერლენმა თემთა პალატის სხდომაზე განაცხადა, რომ დიდი ბრიტანეთი უარს აცხადებს საფრანგეთის მიერ რურის ბასეინის დაჭერის კამპანიაში მონაწილეობის მიღებაზე. ჩემბერლენმა მოიყვანა ლოიდ ჯორჯის სიტყვა, რომ გერმანიას თუ რურს წაართმევენ, ეს მიიყვანს მას უკიდურეს ეკონომიურ კრიზისამდე, ვინაიდან რურის ბასეინი გერმანიის ცხოვრების აუცილებელი პირობაა.

კონფერენციის პლენარული სხდომა.

პარიზი, 3 მაისი, (ფრანგული რადიო). შედგენილია დღის წესრიგი გენუის კონფერენციის პლენარული სხდომისათვის. დასახულია განსახილველად მეორე კომისიის მიერ დღის წესრიგის მე 4 მუხლში წარმოდგენილი რეზოლუცია, სახელდობრ: მიმოსვლის შესახებ, ფინანსიურ საკითხების შესახებ, საზოგადო კაპიტალზე საზოგადო და კერძო კრედიტის მოგვარების შესახებ. შემდეგ განზრახულია განსახილველად დღის წესრიგის მე 6 მუხლი, რომელიც ეხება ტრანსპორტს.

გენუა, 3 მაისი, (იტალიის რადიო). 3 მაისს, სან დჟორჯიოს სასახლეში უნდა შესდგეს დელეგაციების პლენარული სხდომა, გენუის კონფერენციის მომავალი პლენუმის დღის წესრიგის განსახილველად.

კაპიტალიზმის სამეფოებში

1 მაისის დღესასწაული უცხოეთში

მოსკოვი. 3 მაისი,(რადიო)რიგაში 1 მაისის დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო დიდ ძალმა მუშამ. დემონსტრაციაში, რომელიც მოაწყო პროფკავშირთა ცენტრალურმა ბიურომ და კომპარტიის ცეკამ, მონაწილეობას იღებდა 15 000 კაცამდის. სოციალ-დემოკრატების დემონსტრაციაში მონაწილეობას იღებდა რამოდენიმე ათასი კაცი. კომუნისტური მანიფესტაცია გაემართა ძმათა სასაფლაოსკენ. მაგრამ ორატორებს ლაპარაკში ხელს უშლიდენ განგებ მოწყობილი ბანდები და მთვრალი არამზადები. რამოდენიმეჯერ გაისროლეს, ხევდენ პლაკატებსა და დროშებს, მიუხედავათ მუშათა პროტესტებისა. პოლიციამ მრავალი პირი დაატუსაღა.

ვარშავის გაზეთები იტყობინებიან, რომ პროფკავშირთა კრებამ ვარშავაში დაადგინა მოაწყოს პირველი მაისის დღესასწაული მსვლელობითა და მიტინგების გამართვით. დამახასიათებელია, რომ დემონსტრაცია ნებადართული იყო ადგილობრივი ხელისუფლებისაგან.

— გერმანიის სოციალისტურმა მთავრობამ დაადგინა სახელმწიფო დაწესებულებანი და შკოლები მოფინოს დროშებით გერმანულმა ნაციონალურმა პარტიამ წარადგინა პარლამენტში მოთხოვნილება დაუყონებლივ გააუქმონ 1 მაისის დღესასწაულის შესახებ მიღებული დადგენილება.

— სტოკჰოლმში 1 მაისს გადაუღებლად სწვიმდა. იძულებული შეიქნენ დაკმაყოფილებულიყვენ მხოლოდ მიტინგებით, რომელსაც დაესწრო რამოდენიმე ათასი კაცი. მიტინგებზე იკრიბებოდა შემოწირულება რუსეთის დამშეულთა სასარგებლოდ.

ბერლინში.

ნაუენი. 3 მაისი (რადიო) პირველ მაისს ბერლინში გაიმართა დემონსტრაციები და მუშათა დღესასწაული, რომლებიც მოაწყვეს სოციალისტურმა პარტიებმა. ამ დემონსტრაციებში და დღესასწაულში მონაწილეობას ღებულობდენ 200.000 კაცი, გერმანიის პროვინციებში პირველი მაისი ნორმალურად ჩატარდა.

პარიზში.

ბორდო. 3 მაისი (რადიო) პირველ მაისს მთელი დღის განმავლობაში მთელმა ლითონის საწარმოებლებმა შეაჩერეს მუშაობა. დანარჩენებში კი განსაკუთრებით წვრილ წარმოებებში მუშაობა არ შეჩერებულა.

პარიზი. 3 მაისი (საფრანგეთის რადიო) პარიზში დილიდან იყო სიმშვიდე. ზოგიერთი მაღაზიები დაკეტილი იყო. ქუჩაში არ სჩანდა არც ერთი ტაქსომატორი; ავტობუსები მუშაობდენ. ზოგიერთი გაზეთები არ გამოსულან. ინცინდენტები არ მომხდარა. პროვინციებში ყველგან სიმშვიდე იყო.

საფრანგეთის შოვინისტები.

ბერლინი 3 მაისი (გერმანიის რადიო). პარიზში შესდგა როიალისტების კრება, რომელსაც დაესწრო რამოდენიმე ათასი კაცი. კრებამ გამოსთქვა სურვილი საფრანგეთის ჯარის მიერ რურის ბასეინის დაკავების შესახებ. ამის წინააღმდეგ პროტესტით გამოვიდენ კომუნისტები. მხურვალე სიტყვების შემდეგ მოხდა ჩხუბი. უწესოების დასამშვიდებლად გამოწვეულ იქნა პოლიცია.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

ბაქო. 39 აპ., (რადიო) **ბრძოლა კალიასთან,** ადერბეიჯანში კალიით დაავადებულია 30,000 დესიატინა მიწა. ზოგიერთ რაიონებში მუშაობა კალიის მოსასპობად დაიწყო პირველ აპრილიდან გაგზავნილია პრეპარატები და საწამლავი. გაცემულია სურსათ-სანოვაგე 7,000 კაცზე. ნათესების გადარჩენა წელს მოხერხდება. მოსპობილი იქნება კალიის 50 პროც. და მომავალ წელში კიდევ საჭირო იქნება მასთან ბრძოლის წარმოება.

საბოსტნე კოლექტივები. აზნავთის აგრონომიულმა განყოფილებამ დაასრულა შვიდი საბოსტნე კოლექტივის ორგანიზაცია, რომლებიდანაც ხუთი ბალახან საბუნჩ ხომანსკის და ორი სურახანის რაიონებშია. ამ მიზნისათვის პირველს მიეცა შვიდი დესიატინა მეორეს 1 ნახ. დესიატინა მიწა. ამ ადგილების თესვა უკვე დაიწყო ინსტრუქტორების ხელმძღვანელობით. კოლექტივებში შევიდა წევრებით 300 მონაწილე, რომლებიც მათი ოჯახის ჩათვლით აღწევს 900 კაცს. ახალი კოლექტივების შესაქმნელად მუშაობა ფერხდება საშუალებების უქონლობის გამო.

ნავთის პროდუქტების გაზიდვის შესახებ. ბაქოს „მუშა“ აღნიშნავს, რომ აპრილის ნავთის პროდუქტების გაზიდვის რიცხვი იძლევა ზოგიერთ საფუძველს შიშისათვის. პირველიდან 25 აპრილამდე გატანილია სულ 13,5 მილ. ფუთი ნავთის პროდუქტები. თუ მიუმატებთ ამას 4 მილ. ფუთს, რომელიც განზრახულია გატანილ იქნეს 1 მაისამდი, მივიღებთ 17 მილ. განზრახული 22 მილ. ფუთის მაგივრად. გატანის შეხერხების ერთ მთავარ მიზეზათ უნდა ჩაითვალოს აპრილის ზღვის ღელვა და ნისლი, გადაზიდვა ხდებოდა მეტად შემცირებული ტონაჟით, რომელის 25 პროც. შეკეთება საჭიროებდა გზაში—მისი მოძრაობის დროს. აპრილის პირველ რიცხვებში მოძრაობაში იყო 3,2 მილ. ტონაჟი, აპრილის 20 კ. რიცხვისათვის—2,8 მილ. აპრილში მოხდა აგრეთვე გემების გაჩერება, რომლებსაც თავის დროზე ვერ მიაწოდა აზნავთმა ნავთის პროდუქტები. მაისში განზრახულია ტონაჟის გადიდება 1 ნახ. მილ. ფუთით, რაც საშუალებას მოგვცემს შესრულდეს მაისის გატანა ე. ი. 22 მილ. ფუთით სავსებით. საშიშია მხოლოდ სურსათ-სანოვაგის მარაგის გამოლევა ფლოტის სურსათ-სანოვაგით მომარაგების შემდეგში აწარმოებს საბჭოთა რუსეთის სასურსათო კომისარიატი; პროდუქტების პირველი პარტიის მოსვლა რუსეთიდან ფლოტისათვის განზრახულია 12—15 მაისისათვის. შესაძლებელია ზოგიერთი შეფერხება მომარაგების პროცესში.

აფხაზეთი.

სოხუმი. ბანდიტიზმთან ბრძოლა. გუდაუთის სამაზრო აღმასრულებელმა კომიტეტმა ადგილობრივი პარტკომის დახმარებით მიიღო ენერგიული ზომები ბანდიტიზმთან ბრძოლაში. ამ მიზნით ამხ. ავირამ შეიარაღა სოფლების რიგი, სადაც უმეტესად გლეხებს, რომ ყველაზე უფრო ბანდიტიზმით აწვება სოფლების მცხოვრებლებს. გლეხები მთელი სოფლებით იკრიბებიან სამეზობლოებში, ძველი ადათის მიხედვით და სდებენ ფიცს, რომლითაც მათ ავალებს ყოველი ზომებით ბრძოლას ბანდიტიზმთან ფიცმიღებული მცხოვრებლები ახლობელ სოფლებსაც ავალებენ ბანდიტიზმთან ბრძოლას მთლიანად.

სასურსათო გადასახადი გუდაუთის მაზრაში სასურსათო გადასახადის აკრება თავდება. სულ მაზრაში უკვე აკრეფილია განზრახულის 80 პროც. მცხოვრებლების უმრავლესობამ შეასრულა სასურსათო გადასახადი სრულად.

თესვის კამპანია გაგრის რაიონში. რაიონის ზოგიერთ სოფლებში არ იშოვება სათესი მასალა. სოფლებმა აღძრეს სათანადო შუამდგომლობა. საერთოდ დასჭირდება 1000 ფუთი თესლი. მცხოვრებთა განცხადებები მიღებულია საბჭოში.

კოოპერაცია. მთლიან მომხმარებელთა საზოგადოების მმართველობამ დაადგინა მიიღოს ზომები კოოპერატივის წევრებისთვის პირველი საჭიროების საგნების უფრო ფართე დამზადებისათვის. გამომუშავებულია აფხაზეთის კავშირთან ხელშეკრულების დადების პროექტი და სავაჭრო განყოფილებას მიენდო მოლაპარაკების დაწყება. ხელშეკრულების ერთ ძირითად პუნქტს წარმოადგენს მთლიან მომხმარებელთა საზოგადოებისადმი პირველი მოთხოვნილების საგნების დასამზადებლად განსაზღვრული რაიონის მის განკარგულებაში გადაცემა. რესტორანში სადილის ფასი პურის მიცემით დაკლებულია 20,000 მანეთამდე და ვახშმის 15,000 მან.

დასახიჩრებულთა სასახლე. დასახიჩრებულთა ყოფა ცხოვრების გასაუმჯობესებლად დაწესებული კომისია სთხოვს სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს მოსთხოვოს კომუნალურ მეურნეობას დასახიჩრებულთა სასახლეთ სახლი ინვალიდებისთვის 50 კაცის მოსათავსებლად.

სოციალური დაზღვევა. მუშების და მოსამსახურეების დაზღვევის საკითხის შესახებ, ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატმა დაადგინა მიიღოს პროფორგანიზაციათა ამიერ-კავკასიის ყრილობის თეზისები და გაატაროს ის ცხოვრებაში სახალხო კომისართა საბჭოს და პროფკავშირთა საბჭოს შეწყობით.

დადგენილია დამზღვევ ამბულატორიის დაარსება და მასთან მუშა მოსამსახურეებისთვის აფთიაქის მოწყობა.

პარტიული სკოლა. ყოფილ საგარნიზონო კლუბის შენობაში იხსნება პარტიული სკოლა საერთო საცხოვრებელი 60 მოწაფისთვის. ლექციების კითხვას აწარმოებენ საბჭოთა პარტიული პირველი საფეხურის სკოლების საერთო პროგრამის მიხედვით. სკოლასთან დაარსებულია სამკითხველო.

მილიარდი ჯამაგირისთვის. შრომის ხელფასის ფონდის კომისიამ აფხაზეთში დაადგინა დაჯავშნოს ერთი მილიარდი მანეთი ფულის ნიშნებისა მუშა მოსამსახურეებისათვის იანვარ მარტისთვის დასარიგებლად კომისიამ დაადგინა შევიდეს აფხაზეთის სახ. კომ საბჭოში შუამდგომლობით დალუპულ გემიდან ამოღებულ ტანთსაცმელების რიცხვიდან 4000 კომპლექტის გამოყოფის შესახებ.

შტატების შემცირება. შრომის ხელფასის ფონდის კომისიამ აფხაზეთში დაადგინა მოხსნას სახელმწიფო მარაგიდან და გადაიყვანოს თვით ანაზღაურებაზე რიგი დაწესებულებათა, როგორც მაგ. კომუნალური მეურნეობა, სახალხო კავშირი, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო. ერთ და იმავე დროს განზრახულია შეუდგენ აფხაზეთის დაწესებულებებში შტატების შემცირებას არა ნაკლებ, ვიდრე 50 პროცენტით.

ამხ. გრიგოლ წიკლაურის ხსოვნას

დუშეთის მაზრამ დაკარგა ერთი საუკეთესო და მოწინავე პარტიული ამხ. გ. წიკლაურის სახით, რომელიც პარტახტიანი სახადით გარდაიცვალა 6 აპრილს ღამის 12 საათზე, თავის სამშობლო სოფ. ძალისში. ამხ. წიკლაური მთელ მაზრაში ცნობილი იყო, როგორც ერთი ძველი რევოლიუციონერთაგანი და შეგნებული პარტიული ამხანაგი. მოკლე ბიოგრაფიული ცნობები ამხ. წიკლაურის შესახებ შეიცავს შემდეგს: დაიბადა 1877 წელს, სოფ. ძალისში ძლიერ ღარიბ ოჯახში, რომელი ოჯახიც ნაყმევი იყო თავად მუხრან ბატონებთან, არ გააჩნდათ საკუთარი სახნავ სათესი მიწა, რის უქონლობაც იძულებულს ხდიდა ამ ოჯახს მიქირავებიყო ან თავადს ან შეძლებულ მეზობელ გლეხებს და ისე გამოეკვება მთელი ოჯახი, ამხ. გ. წიკლაური კი ხან მენახირეთ იდგა სოფელში და ხან მეღორეთ ბატონისას, რითაც თავის მშობლებს ცოტათი ეხმარებოდა და უადვილებდა ცხოვრებას. ამ ყოფით ამხ. წიკლაური აღწევს 1905 წელს, ამ წელში როგორც სხვაგან, ისე დუშეთის მაზრაშიც მოძრაობა ფართე ხასიათს ღებულობს და მთელ მშრომელ გლეხობას ითრევს ბრძოლაში თავიანთ ბატონების წინააღმდეგ. ამ მოძრაობაში მხურვალე მონაწილეობას ღებულობს ჯერ კიდევ ახალგაზრდა ამხ. გრიგოლი. დუშეთის მაზრის გლეხებმა ვეღარ მოითმინა ბატონ მემამულე თავადების ფარფაში და სოფელ მჭალისჯვარში 1907 წ. უარი უთხრეს ღალების მიცემაზედ, რის გამოც მოხდა დიდი შეტაკება გლეხებს და კაზაკებს შორის, რომლის დროს რამდენიმე ათეული გლეხი იქნა მოკლული. ყაზახები გლეხებს ესვროდნენ ვინტოვკებით და გლეხებს კი მარტო ჯოხები ქონდა ხელში ამ პირველ ბრძოლაში ამხ. გ. წიკლაური ერთი ხელმძღვანელთაგანი იყო, რისთვისაც ის ცარიზმის მიერ შეიქნა დასჯილი საპყრობილეში დაპატიმრებით. 1917 წ. რევოლიუციის პირველ დღიდანვე ამხ. წიკლაური მიემხრო ბოლშევიკურ მიმართულებას და 1918 წ. დუშეთის მაზრის აჯანყებაში კი იგი საპატიო და საყვარელი მებრძოლი შეიქმნა, რომ მაზრის გლეხთა პირველ საბჭოში და შემდეგ სამაზრო აღმასკომში იქნა არჩეული სრულუფლებიან წევრათ, სადაც თავის მოვალეობას ასრულებდა მეტათ პატიოსნათ და ერთგულათ იმ საშინელ ბრძოლაში, რომელსაც ეწეოდა აჯანყებული მაზრა მენშევიკებთან და ბრძოლით უკან იხევდა, ძლიერ ბევრი ჩამოშორდა აჯანყებულ გლეხებს და მიიმალმოიმალნენ, მარა ამხ. წიკლაური არ ჩამოშორდა აჯანყებულ გლეხებს და ბრძოლით უკან დახეული გადავიდა ჩრდილოეთ კავკასიაში. აქ რამდენიმე ხანი დაჰყო და შემდეგ კი არალეგალურათ ბრუნდება თავის სახლში, სოფ. ძალისში და იწყებს მუშაობას ამ სოფლის ფარგლებში, საქართველოში საბჭოთა მთავრობის დამყარებამდე ამხ. წიკლაური მუშაობდა სამაზრო პარტიულ ორგანიზაციებში და ითვლებოდა ერთ საუკეთესო ამხანაგად 1921 წ. 10 მარტიდან. სამაზრო პარტკომის დადგენილებით, ამხ. წიკლაური ინიშნება პასუხისმგებელ ორგანიზატორათ, რომელ მოვალეობასაც ასრულებს სამ თვეს. შემდეგ მუშაობს მუხრანის რაი რევკომში. საბჭოთა არჩევნების დროს ამხ. წიკლაურს ირჩევენ მუხრანის თემის აღმასკომში, შემდეგ კი სამაზრო საბჭოს ყრილობა ირჩევს წევრათ მაზრის აღმასკომში. აი ის მოკლე ცნობა ძვირფას ამხ. წიკლაურის ცხოვრებიდან, რომელიც სიღატაკეში დაიბადა და. მთელი თავისი სიცოცხლე ბრძოლაში გაატარა, მიაღწია თავის ძვირფას მიზანს, იხილა თავის შრომის ნაყოფი და როდესაც უნდა გამოეჩინა მუშური შეგნება და ერთგულება მშრომელ ხალხის სახელმწიფოს განმტკიცებაში და გამაგრებაში, წყეულმა სიკვდილმა ეს მას არ დააცალა და სიცოცხლეს ჩამოაშორა, მაგრამ ყველაზედ შემაძრწუნებელი და დამაღონებელი ამხ. წიკლაურის ცხოვრებაში ის არის, რომ მას თავის სიცოცხლეში არ უნახავს ბედნიერი დღე, ყოველთვის შრომაში ლეწავდა თავის სიცოცხლეს და მაინც ცოლშვილი მშიერი ყავდა და ვერ შესძლო მთელ ათეულ წლებში ერთი ქოხი მაინც ჩაედგა თავის საცხოვრებლათ. უკანასკნელ დრომდე ამხ. წიკლაური სცხოვრობდა სხვის სახლში და იქვე დალია ტანჯული სიცოცხლე, თავის ცოლშვილი კი დასტოვა უსახლ-კაროთ. ძნელი არის იმ გაჭირვების მოგონება, რომელიც გადაიტანა ამხ. გ. წიკლაურმა თავის სიცოცხლეში, მარა ყველაზედ ძნელია მისი დავიწყება დუშეთის მაზრისათვის და მისი საყვარელი მაზრა თავის ერთგულ შვილს არას დროს არ დაივიწყებს და ყოველთვის მოიგონებს, როგორც მშრომელ ხალხის ერთგულ შვილს და პატიოსან კომუნისტს.

გ. ლაფონაშვილი.

საქართველოს ეკონომიური ცხოვრება

კოოპერაციის ბონები

ცეკავშირმა, რუსეთის კოოპერატივების მსხვილი კავშირების მსგავსად, გამოუშვა თავისი ანგარიშის გასასწორებელი ნიშნები 100 და 50 ათასი მან. ღირებულების. ამ ბონებს გასავალი ექნება კოოპერატივების ორგანიზაციების შიგნით ერთმანეთს შორის ანგარიშის გასწორების დროს. მათი დანიშნულებაა გასწიოს სახელმწიფო ბონების მაგივრობა ცეკავშირის მოსამსახურეების ჯამაგირების დარიგებაში.

ეს ანგარიში ეყრდნობა შემდეგ საფუძველს:

კოოპერატივები უფრო მეტად, ვიდრე რომელიმე სხვა ორგანიზაციები და წარმოებები, ცდილობდენ მოეხდინათ თავიანთი მოსამსახურეების ჯამაგირების ნატურალიზაცია. მაგრამ ეს არ მოხერხდა სათანადოთ და გამოიწვია მოსამსახურეების სამართლიანი უკმაყოფილება. სამუშაო ხელფასის ნატურალურ ნაწილში მრავალი სხვა და სხვა საქონლის შეტანა ტეხნიკურად შეუძლებელი იყო. ამიტომ მოსამსახურეები იძულებული იყვნენ ხელფასის მაგივრათ მიეღოთ ისეთი საქონელი, ან იმდენი, რომ ფაქტიურად ის მათ არ სჭირდებოდათ. საჭირო გახდა ამ საქონლის ხელმეორეთ გაყიდვა უფრო იაფ ფასებში, ვიდრე ეს ჯდებოდა პირველი ყიდვის დროს.

მეორე მხრით მოსამსახურეებისათვის ხელფასის მთლიანათ ფულის ნიშნებით მიცემა კოოპერატიულ ორგანიზაციებს არ შეეძლოთ. ფულის ნიშნების ნაკლებობის გამო ყოველთვიურად ასეთი დიდი თანხების [illegible] ჯამაგირების სახით ასუსტებდენ კოოპერატივების საბრუნებელ საშუალებებს. ეს სამწუხარო იყო, მით უმეტეს, რომ მოსამსახურეების ჯამაგირები საქონელზე გაცვლის გზით უბრუნდებოდა ქალაქის საერთო საბაზრო ტრიალს და ხელში ჰვარდებოდა უმთავრესად კერძო ვაჭრებს

საკუთარი ბონების გამოშვებით ცეკავშირი აღწევს რამოდენიმე მნიშვნელოვან შედეგებს:

1) არ ასუსტებს თავის საბრუნავ თანხებს და თავიდან იცილებს ყოველთვიურ ფულის კრიზისს

2) თავის მოსამსახურეების მთელ შემყიდველობითი ძალებს უნებლიეთ აგზავნის კოოპერატივებში, მომხმარებელ დუქნებში და არა კერძო ვაჭრების დუქნებში.

3) ემსუბუქებს თავის წილებულ საქონლის ანგარიშს კოოპერატივებს ასეთი ბონების თანდათანი მოგროვებით და მათი დაბრუნებით ცეკავშირის კასაში პატარ-პატარა თანხებით.

მეორე მხრით ასეთი წესი უფრო მოხერხებულია ცეკავშირის მოსამსახურეებისთვისაც:

1) არ მოხდება ჯამაგირების დარიგების დაგვიანება;

2) ეხლა მოსამსახურეებს შეუძლიათ იყიდონ საქონელი და პროდუქტები რამდენიც უნდათ, როდესაც მოესურვებათ და როგორსაც ამოირჩევენ კოოპერატივების დუქნებიდან.

მაგრამ, რომ ამ ორიგინალურ ფინანსიურ კომბინაციას ექნეს ფართო და სერიოზული მნიშვნელობა საჭიროა მისი მოხმარება გავრცელებულ იქმნას თბილისის კოოპერატიულ ორგანიზაციებზე მაინც.

როგორ გავლენას ახდენს ბაზარზე, მთლიანი მუშათა კოოპერატივი.

საზოგადო გავლენაზე ჯერ არ გვიხდება ლაპარაკი, ხოლო ნაწილობრივი გავლენა რომელსაც იწვევს მუშათა მთლიანი კოოპერატივი ბაზრის ამა თუ იმ პროდუქტებზედ შეგვიძლია დაბეჯითებით აღვნიშნოთ.

ეხლა, მაგალითად, მთლიანი მუშათა კოოპერატივი ბრძოლას აწარმოებს კერძო ბაზართან. „საერთო ფრონტზე“ ბრძოლა ნაყოფიერია.

ორი სამი კვირის წინად ქალაქში რძე იყიდებოდა 9—10 ათასი მანეთად ერთი კრუჟკა. კოოპერატივმა გამოუშვა ჯერ მცირე და შემდეგ თანდათან მეტი რაოდენობით რძე 8 ათასად.

კერძო ბაზარი იძულებული გახდა დაეწია ფასი 7 ათასამდე. საქმის გაფართოების შემდეგ კოოპერატივმა კიდევ შესძლო დაეკლო კრუჟკაზე ათასი მანეთი, შემდეგ კიდე დააკლო ათასი მანეთი და დაიყვანა კრუჟკა რძე 5 ათასამდე. ამ გარემოებამ ბაზარზე და განსაკუთრებით წვრილ მეძროხეთა შორის შექმნა ნამდვილი პანიკა. რძის დამრიგებელმა პუნქტებმა (მთლიანი მუშათა კოოპერატივის) შემოიკრიბა თავის გარშემო, ფართე გარშემორტყმულ რაიონში, თითქმის სულ ყველა რძის მომხმარებლები.

საკმარისია აღვნიშნოთ, რომ სამი კვირის უკან მთლიანი მუშათა კოოპერატივი ვერის დაღმართის პუნქტში, ყიდდა დღიურად 100 კრუჟკას, ხოლო ეხლა ყიდის 800 კრუჟკა რძეს ყოველ დღიურათ.

ასეთივე სახით გაიზარდა რძის მოთხოვნილება მეორე პუნქტში. პუშკინის ქუჩაზედ, სადაც ყოველ დღიურად იყიდება 1500 კრუჟკა.

ორთავე პუნქტი მოწყობილია ძლიერ ხელსაყრელ ადგილზე იმ მოსაზრებით, რომ, მის მახლობლად იკრიბებიან დილაობით მერძევე ქალები, რომლებიც ატარებენ გასაყიდ რძეს. იმათი ვაჭრობა საბოლოოდ დასცა მთლიანმა მ. კოოპერატივმა ისინი იძულებულია ან გაჰყიდონ რძე კოოპერატივის ფასში ან და იხეტიალონ პუნქტებიდგან დაშორებულ რაიონებში. ბოლო ხანებში მათი ვაჭრობა იმდენად დაეცა, რომ ბევრი მათგანი იძლევა წინადადებას რომ მიიღოს კოოპერატივმა მთლიანად მათი რძე.

მეორე ბრძოლა, რომელსაც აპირებს მთლიანი მუშათა კოოპერატივი მიმართულია „ბოსტნეულის ფრონტისაკენ“. აქ ბრძოლა უფრო ფართოდ იწარმოებს. კოოპერატივმა დასდო ხელშეკრულება ყველა პროფკავშირებთან რომელთაც აქვთ თავიანთი ბოსტანი. და აგრეთვე კოლექტიურ ბოსტანთა მეურნეობასთან, რომლის ძალითაც ამ ბოსტნების მთელი წვანილეულობა გაიყიდება კოოპერატივებში. კოოპერატივს აგრეთვე აქვს თავის ბოსტანი ამ გარემოებით მთლიანი მუშათა კოოპერატივი აპირებს ბოსტნეულის გაყიდვას ბაზრის ფასებთან შედარებით 25 პროცენტით დაკლებით, უკანასკნელ შემთხვევაში, უფრო იაფად ვინემ კერძოდ იყიდება. ეჭვს გარეშეა, რომ ბოსტნეულის ბაზარზედაც გაიმარჯვებს მთლიანი მუშათა კოოპერატივი, ისევე როგორც გაიმარჯვა „რძის ბაზარზედ“.

მე უკვე აღვნიშნე, თუ როგორ გავლენას ახდენს მთლიანი მუშათა კოოპერატივი პურის ბაზარზედ თავისი პურის ოპერაციებით. აქ გავლენა უფრო სუსტია, ვინაიდგან ეს ფრონტი გაცილებით უფრო ფართეა და კოოპერატივს არ შეუძლია დააკმაყოფილოს ყველა მომხმარებლები მაგრამ, საულუფო პურის გარდა, კოოპერატივი თითოეულ დასარიგებელ პუნქტებიდგან უშვებს ყოველ დღიურად 15 ფუთ პურს, ესე იგი დაახლოვებით 150 ფუთს საერთოდ. თითო წიგნაკზე სამი გირვანქის გაშვებით ის აკმაყოფილებს 2000 წევრების ოჯახებს.

გადასაბრუნები საშუალებები, რომ ხელს არ შეუშლიდეს შედეგი იქნებოდა უფრო ნაყოფიერი, ვინაიდგან მთლიანი მუშათა კოოპერატივის პურის მოთხოვნილება დიდია.

სასოფლო-სამეურნეო ფრონტზე

სასურსათო გადასახადის კომპანიის მსვლელობა

სასურსათო კომისარიატის ცნობა 28 აპრილამდი აკრეფილი სასურსათო გადასახადის გამოიხატება შემდეგ ციფრებში:

ახალქალაქის მაზრა. ხორბალი—7,010 ფ კართოფილი—215 ფ. ხილი 58 ფ. რძის ნაწარმოები—86 ფუთი. ხორცი—696 ფ და მატყლი—65 ფ.

ახალციხის მაზრა. ხორბალი 13,308 ფ. კართოფილი—14,203 ფ. ხილი—702 ფ. რძის ნაწარმოები—6 ფუთი. ხორცი—169 ფ

ბორჩალოს მაზრა. ხორბალი 5493 ფ. კარტოფილი—2094 ფ. მწვანილი 65 ფ. რძის ნაწარმოები—126 ფუთი. 1000 ვედ. და მატყლი 5 ფ.

გორის მაზრა. ხორბალი 11,329 ფ. კარტოფილი—220 ფ. ხილი—313 ფ. რძის ნაწარმოები 10 ფ. ხორცი—15 ფ. ღვინო 204 ვედ. და მატყლი 2 ფ.

დუშეთის მაზრა. ხორბალი 401 ფ. კარტოფილი—40 ფ. ხილი—140 ფ ხორცი—309 ფ. ღვინო—45 ვედ.

თბილისის მაზრა. ხორბალი 8131 ფ. კართოფილი 6539 ფ. ხილი 1813 ფ რძის ნაწარმოები 52 ფ, ხორცი 10 ფ. ღვინო 3821 ვედ , მატყლი—32 ფ.

თელავის მაზრა. ხორბალი—8073 ფ. ხილი 6 ფ. ხორცი 300 ფ. ღვინო 10,000 ვედ.

თიანეთის მაზრა. ხორბალი 2200 ფუთი, კართოფილი 234 ფ. მწვანილი 40 ფ.

სიღნაღის მაზრა. ხორბალი 20550 ფ. კართოფილი 236 ფ. ხილი 348 ფ. რძის ნაწარმოები 20 ფ., მატყლი 9 ფუთი.

სამხრეთ ოსეთში ჯერ-ჯერობით შეგროვილია სულ 2798 ფ. ხორბალი.

დასავლეთ საქართველოში შეგროვილია: ხორბალი—6,063 ფ. კართოფილი—41 ფ. ხილი—32 ფ.

დამზღვევი კასა

ახალი გამგეობის არჩევნებისათვის

სულ ახლო მომავალში უნდა აირჩეს ახალი გამგეობა დამზღვევი კასისა. ეს მარტო იმიტომ კი არა, რომ ძველი გამგეობა თითქმის ერთი წელიწადი მუშაობს და ფორმალურად არის საჭირო ახალი გამგეობის არჩევა; არამედ იმიტომაც, რომ კასის ფუნქციები შესამჩნევათ გაფართოვდა, გართულდა და მისი მომავალი მოღვაწეობა-პერსპექტივები, დიდი მნიშვნელობის, დიდი ყურადღების ღირსია და ასეთ დიდ მუშაობაში აუცილებელი საჭიროება მოითხოვს ახალი ძალების ჩაბმას და კასის გარშემო მთელი მუშების შეგნებული ნაწილის შემოკრებას და ამუშავებას.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდანვე მუშა მოსამსახურეთა დაზღვევა საყოველთაო და სავალდებულოთ იქნა გამოცხადებული ყველა მათთვის, ვინც კი თავისი შრომით ცხოვრობს, ყოველივე ხარჯთაგან მუშა-მოსამსახურენი განთავისუფლებულნი არიან და მთელი სიმძიმე მატერიალური უზრუნველყოფისა დაზღვეულთათვის დამქირავებლებზეა გადატანილი. აგრეთვე კანონის ძალით მუშა მოსამსახურენი და მათი ოჯახის წევრნი დაზღვეულნი არიან ყველა სახით გამოწვეული შრომის უნარ დაკარგვის [illegible] დასახიჩრების, [illegible] ქვრივობლობის, [illegible]ბით. ეს არის სრული დაზღვევა მშრომელთათვის, ამაზე ოცნებობდენ მთელი ქვეყნის მშრომელთა მასები. ამას მივაღწიეთ ჩვენ საბჭოთა მეუფების დროიდან. ყველა ამას მოკლებულია მთელი ქვეყნის მშრომელი მასა, სადაც საბჭოთა ხელისუფლება არა სუფევს.

ამიტომ არის საჭირო, რომ დიდ საქმეს დიდ ყურადღებით მოვეპყროთ და ამ საქმის მოსაგვარებლად სულ ახალ ახალი ძალები ავამუშავოთ.

როგორც ვიცით მუშა მოსამსახურეთა დაზღვევის საკითხმა რუსეთში მრავალი ეტაპები გაიარა; იქ დაზღვევის საქმე სახელმწიფო საქმედ არის გამოცხადებული, და აქ სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობა მარტო იდეიური კი არ იყო, არამედ დაზღვევის ორგანიზაცია, მისი პრაქტიკულათ ცხოვრებაში გატარებაც მას, სახელმწიფო ორგანოებს ეკისრებოდათ, ეს ჯერ სოციალურ უზრუნველყოფის კომისარიატს, ახლა კი შრომის სახალხო კომისარიატს, ხოლო, ვინც კი ცოტათ მაინც გასცნობია დაზღვევის საკითხს, მის მრავალ პრაქტიკულ მხარეებს, აგრეთვე არა ნაკლებ პრინციპიალურ კითხვებს, რაიც გამომდინარეობენ დაზღვევის საერთო საკითხიდან, მისთვის ნათელი და უდავო უნდა იყოს ის, რომ აქ მარტო სურვილზე და მოწადინებაზე არის საქმე, რომ დაზღვევის საქმე ვერ ჩადგება თავის ნამდვილ კალაპოტში და მარტო კანონმდებლობა და ცირკულიარები ვერ ამოსწურავენ ყველა იმ აუარებელ წვრილ და მსხვილ კითხვებს საერთო დაზღვევის საკითხისას, რაიც აქედან გამომდინარეობენ. აქ, იმის გარდა, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკის მეოხებით სავსებით შეიცვალა მუშათათვის პირობები წარმოებასა და მეურნეობის სფეროებში, დღეს მუშათა კლასს, რამდენათაც უხდება იქონიოს საქმე მარტო სახელმწიფოსთან კი არა, არამედ კერძო მწარმოებლებთანაც, საკითხი მუშა-მოსამსახურეთა უფლებრივობისა, მისი შრომის ექსპლოატაციისაგან დაცვისა უკარნახებს მუშათა კლასს, რომ მან თავისი ორგანიზაციები, პროფესიონალური შეკავშირება და სხვა გაამაგროს, და მუდამ მზათ იყვეს საჭიროებისამებრ შესაფერი პასუხი გასცეს მას, ვინც მისი უფლებების შელახვას მოინდომებს. ხოლო ამისათვის კი საჭიროა მუშათა კლასმა თავისი ენერგია აამუშაოს, თავის ორგანოების გარშემო შემოიკრიბოს მუშათა ფართო მასები და მით გააცხოველოს მუშური შემოქმედება. ამას პროფკავშირებმა ყველა საბჭოთა სახელმწიფოებში უკვე მიაქციეს ჯეროვანი ყურადღება და ყველა პატარა თუ დიდ ყრილობებზე ერთი და იგივე მიზანი დაისახეს: „პროფკავშირებისაკენ მეტი ძალები, მეტი ყურადღება და მუშაობის გაცხოველება მუშათა ფართე მასებში“. აშკარაა, რომ ეს თვით ცხოვრების ნაკარნახევია და მის რკინის პირობებს კი ჩვენ ვერ აუხვევთ გვერდს.

ამნაირ აუცილებლობამ მუშა-მოსამსახურეთა დაზღვევის სფეროშიც შემოყო თავი და აქ უფრო მწვავეთ ისმება საკითხი მუშათა ფართე მასების მონაწილეობისა დამზღვევ კასებში. რუსეთში და აქაც მუშათა კლასს დიდი გამოცდილება აქვს რევოლიუციონურ ბრძოლის წარმოებისათვის, ხოლო ნაკლები აღმშენებლობის სფეროში. მუშათა კლასს პროფესიონალურ მოძრაობაში გაცილებით მეტი გამოცდილება აქვს, ხოლო ნაკლები მუშათა დაზღვევის სფეროში. როგორც ზევით ვსთქვი, დაზღვევის საქმე არც ერთ სხვა სახელმწიფოში ისე ფართეთ და სრულათ არ არის დაყენებული, როგორც საბჭოთა ქვეყნებში და მეტი იქნება იმის მტკიცება, თუ რამდენათ აუცილებელია ამ საქმისადმი დიდი ყურადღების მიქცევა და რომ ეს ყურადღება უნდა გამოიჩინონ და მისი პირდაპირი ხელმძღვანელნი უნდა იყვნენ თვით მუშები და მუშათა ორგანოები.

როგორც სხვა ბევრ რამეში, აქაც რუსეთი გვაძლევს გაკვეთილს და გვიჩვენებს სწორ გზას. ამ წლის პირველ თვეებში იქნა მიღებული ახალი სტრუქტურა დამზღვევი კასების დასაარსებლათ. იქ მთელი რიგი საკითხები არის გათვალისწინებული კასების მუშათა ფართე წრეებთან დასაახლოვებლათ და მთელი აზრი ამ ახალ სტრუქტურისა მარტო იმაში კი არ მდგომარეობს, რომ კასები ქარხნებთან ახლო იქნას დაარსებული და გაადვილებული დაუყონებლივი და სწრაფი დახმარების მიღება, არამედ ეს ახალი სტრუქტურა იმით არის საყურადღებო და ყურადსაღები, რომ მთელი სიმძიმე დამზღვევი კასების მართვა-გამგეობისა თვით მუშებზე არის გადატანილი, ე. ი. ყოველი დამზღვევი კასა უნდა იქნას თვით მუშების ხელში, მას, კასას [illegible] მუშათაგან [illegible]

გამგეობა, რომელიც იქნება მისი პირდაპირი ხელმძღვანელი, როგორც იდეიურათ ისე პრაქტიკულათაც. ამისათვის იქ მოუწოდებენ ყველა იმ მუშებს, რომელთაც აქვთ ერთნაირი გამოცდილება დაზღვევის სფეროში და მათი მუშაობა დაზღვევის საქმეში სასარგებლო იქნება. ასეთ მუშაკებს იქ ყველა სხვა დანარჩენ საქმეებიდან ანთავისუფლებენ დამზღვევ კასებში მუშაობისათვის.

ამნაირათ სახელმწიფო ორგანოს, შრომის სახალხო კომისარიატს იქ რჩება მხოლოდ კონტროლი და კასების რეგულიარიზაცია. ეს ნაბიჯი დიდმნიშვნელოვანია და ეს მუშათა კლასმა ჯეროვანათაც უნდა შეაფასოს.

აქ, საქართველოში ჩვენ დაახლოვებით ისე ვაწარმოებთ დაზღვევის საქმეს, როგორც ამას დღეს რუსეთში კიდებენ ხელს, მაშასადამე ჩვენთვის უფრო ადვილია ამ საქმის მოგვარება. დღეს, რესპუბლიკის უმთავრეს პუნქტებში უკვე არსებობენ კასები.

ჩვენ ჯერჯერობით არა გვაქვს გარკვეული კანონმდებლობა დაზღვევის საქმეში, ჩვენ გვაქვს დეკრეტები, დადგენილებები და სხვა, ამას უნდა მხოლოდ ერთათ მოკრება და წარდგენა სადაც ჯერ არს დასამტკიცებლათ. ყველა ამას ესაჭიროება გადახედვა, გადასინჯვა, აწონ დაწონვა და დაკანონება—ყველა ამას გაცილებით უკეთ შესძლებს ახალი გამგეობა, რომელიც ეხლა სულს ჩაბერავს დაზღვევის საქმეს და საკუთრივ დააგვირგვინებს.

მაშ ნუღარ დავიგვიანებთ, ავირჩიოთ ახალი გამგეობა და მეტი ენერგიით შევუდგეთ მუშაობას. საჭიროა ამას მუშათა ფართო წრეებმა დიდი ყურადღება მიაქციონ, იქონიონ ადგილობრივ მსჯელობა და შესაფერი კანდიდატები წამოაყენონ არჩევნების დროს. ამ გზით ჩვენ მტკიცე საძირკველს ჩავუდებთ დაზღვევის საქმეს საბჭოთა საქართველოში.

სანდრო იაშვილი.

წარმოებითი პროფკავშირებში

რუსეთის პროფკავშირების საბჭოს ამიერ-კავკასიის ბიუროს მეორე პლენუმი

20 აპრილს ბაქოში გაიხსნა მეორე პლენუმი სრულიად რუსეთის პროფესიონალურ კავშირების საბჭოს ამიერ-კავკასიის ბიუროსი. პლენუმის პირველ სხდომაზე დადგენილ იქმნა შეეყვანათ სრულიად რუსეთის პროფკავშირების საბჭოს ამიერ-კავკასიის ბიუროში ამიერ-კავკასიის ფედერაციის შრომის სახალხო კომისარი ამხ. იაგუბოვი.

პლენუმმა თავის მუშაობის მსვლელობაში მიიღო შემდეგი დადგენილებანი.

ურთიერთი დახმარების ფონდის შესახებ. ურთიერთი დახმარების ფონდი არსდება რესპუბლიკის კავშირის გამგებლობასთან ან სამაზრო განყოფილებასთან და წარმოადგენს მხოლოდ ადგილობრივი ტერიტორიალურ ფონდს. განსაკუთრებული საჭიროების დროს რესპუბლიკის განყოფილებას უფლება აქვს ურთიერთი დახმარების ფონდის ნაწილი გადაიტანოს ერთი რაიონიდან მეორე რაიონში იმავე ფონდის შესავსებათ. ურთიერთი დახმარების მოწყობა სამაზრო პროფბიუროსთან, პროფკავშირების რწმუნებულებთან ან და თვით კავშირების სექციებთან, როგორც საერთო წესი, აკრძალულია.

ურთიერთი დახმარების საკითხის ყველა საქმეებს აწარმოებს ტეხნიკური აპარატი კავშირის ორგანიზაციებისა, სადაც არსებობს ასეთი ფონდი.

ურთიერთ დახმარების ფონდის სახელზე შემოსული ფული შეტანილ უნდა იქნეს გამგეობის კასაში. იგი შესდგება: ა) კავშირის წევრების კოლექტიური გადარიცხვიდან და ნებაყოფლობითი შეწირულებიდან წარმოებათა საზოგადო კრების ხმის უმრავლესობით დადგენილების მიხედვით; და ბ) კავშირის წევრთა ინდივიდუალურ ნებაყოფლობით შეწირულებიდან და სხვაგვარ შემოსავლიდან. ურთიერთ დახმარების ფონდის გადასახადს საზღვრავს რესპუბლიკის განყოფილება დამოუკიდებლივ, საზოგადო კრების ან კონფერენციის დადგენილების თანახმად. ფონდიდან ფულის გაცემა შეიძლება დაუბრუნებლივ და დაბრუნებით: უმუშევართათვის, ოჯახის წევრთა დასახმარებლად, ავადმყოფობის შემთხვევებში და სხვ. ფულის გაცემას აწარმოებს კავშირის გამგეობასთან. არსებული საპელაციო კომისია. ფულის მიღება შეუძლია მხოლოდ ა) კავშირის წევრებს, რომელთაც აქვთ სტაჟი და გამოუკლებლივ 2 თვის განმავლობაში შექონდათ გადასახადი ურთიერთ დამხმარე ფონდში და ბ) კავშირის უმუშევარი წევრები, რომელნიც ანგარიშზე ყავს აყვანილი ადგილობრივ შრომის ბირჟას. რესპუბლიკის პროფკავშირები საზღვრავენ საკავშირო სტაჟს, რომელიც უფლებას აძლევს კავშირის წევრს მიიღოს დახმარება ურთიერთ დამხმარე ფონდიდან, მაგრამ იგი არ შეიძლება იქნეს 4 თვის განმავლობაში რეგულიარულად შენატან საწევრო გადასახადის ჯამზე უფრო მცირე. დახმარებათა რაოდენობას, ფულის გაცემის წესს და სხვ. დამატებითი შენიშვნებს აწესებს რესპუბლიკის პროფკავშირი.

გაფიცვათა ფონდის შესახებ. გაფიცვის ფონდი სდგება საწევრო გადასახადიდან პროცენტარული გადარიცხვიდან და კავშირის წევრების სპეციალურ ნებაყოფლობითი შეწირულებიდან, რომლის რაოდენობასაც აწესებს რესპუბლიკის სათანადო განყოფილებანი.

საკავშირო საამხანაგო სასამართლოს შესახებ. საკავშირო საამხანაგო სასამართლოს საკითხი მოხსნილ იქმნა და გადაეცა კომისიას წინასწარ განსახილველად, იმ განზრახვით, რომ კომისიის ნამუშევარი დაამტკიცოს ამიერ კავკასიის ბიურომ.

ნებაყოფლობითი წევრობის შესახებ. წინადადება მიიცეს პროფკავშირებს დაუყოვნებლივ შეუდგნენ ნებაყოფლობითი წევრობის განხორციელებას და შეიმუშაონ ამისათვის მეთოდები და გეგმა სათანადო კომპანიის ჩასატარებლად რესპუბლიკაში არსებული პირობების მიხედვით. ამასთან ერთად პლენუმმა წინადადება მისცა პროფკავშირებს, განახორციელონ კოლექტიური ფორმები ნებაყოფლობითი წევრობისა.

სრულიად რუსეთის პროფკავშირების ცეკას რწმუნებულთა შესახებ დამტკიცებულ იქნა ამიერ-კავკასიის პროფკავშირთა 1 ყრილობის დადგენილება, რომ მოწყობილ იქნეს სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცეკას წარმომადგენლობა რწმუნებულებისა და არა ბიუროს სახით. ამასთან ერთად პლენუმს საჭიროდ მიაჩნია სასტიკი თვალყური ადევნოს, როგორც კავშირების ცეკას რწმუნებულებმა, ისე რესპუბლიკის პროფკავშირებმა შემდეგ დებულებათ ურთიერთი დამოკიდებულების შესახებ. ცეკას რწმუნებულნი მუდმივ იმყოფებიან სრულიად რუსეთის პროფკავშირთა საბჭოს ამიერკავკასიის ბიუროსთან და იმყოფებიან თავიანთი ცეკას განკარგულებაში და აღრიცხვაზე. ისინი არ შეიძლება მოხსნილ იქნან სხვაგვარი მუშაობის საწარმოებლად ცეკას დასტურისა ანდა სრულიად რუსეთის პროფ-კავშირთა სანქციის გარეშე. თავისი ძირითადი სამუშევარის გარდა ისინი შეიძლება გამოიყენოს სხვაგვარი მუშაობისთვის სრულიად რუსეთის პროფ-კავშირთა საბჭოს ამიერ-კავკასიის ბიურომ, მაგრამ იმ პირობით, რომ მათ საშუალება ექნეთ სავსებით შეასრულონ ცეკას დავალებანი. სრულიად რუსეთის პროფ-კავშირთა ამიერ-კავკასიის ბიურო ანხორციელებს საერთო ხელმძღვანელობას რწმუნებულებისა უთანხმებს რა მათ გეგმას რესპუბლიკანურ განყოფილებათა შემოვლისა და სხვ. სრულიად რუსეთის პროფ-კავშირთა საბჭოს ამიერ-კავკასიის ბიუროს საორგანიზაციო განყოფილების მიერ შემუშავებულ გეგმას. ცეკას ყველა დადგენილებანი და რწმუნებულთა განკარგულებანი, თუ იგი არ ეწინააღმდეგება ცეკას დადგენილებათ, სავალდებულოა რესპუბლიკანურ განყოფილებებისათვის. იმ შემთხვევაში თუ პროფ-კავშირი არ ეთანხმება რწმუნებულთა განკარგულებას პროფკავშირს შეუძლია შეაჩეროს განკარგულების აღსრულება და მაშინ საკითხს სწყვეტს სრულიად რუსეთის პროფ-კავშირთა საბჭოს ამიერ-კავკასიის ბიურო. თუ რწმუნებული არ ეთანხმება ამიერ კავკასიის ბიუროს დადგენილებას მას შეუძლია იგი განასაჩივროს თავის ცეკაში. ყოველგვარ დამოკიდებულებას რესპუბლიკანურ განყოფილებებთან რწმუნებული აწარმოებს უშუალოდ, უგზავნის მას ამიერ-კავკასიის ბიუროს და სათანადო პროფ-კავშირის ყველა მომართვათა ასლს. არა მიზანშეწონილად იქნა ცნობილი სამხრეთ-აღმოსავლეთის ბიუროსა და ამიერ-კავკასიის ბიუროს რწმუნებულობის შეთავსება.

გადაჯგუფების შესახებ. რადგანაც საქართველოში ძლიერ ბევრია ქიმიკურ მრეწველობაში ჩაბმულ მუშათა რიცხვი, საქართველოს პროფკავშირს მიენდო დაუყონებლივ შეუდგეს ხსენებულ ჯგუფის ცალკე ქიმიკოსთა კავშირად გამოყოფას.

ადგილობრივი კომიტეტების შესახებ. დამტკიცებულ იქნა, რომ უმაღლესი ადმინისტრატიული პერსონალი სახელმწიფო წარმოებათა, რომელიც გადაყვანილია სამეურნეო ანგარიშზე და არ არის წამოყენებული მუშათა ორგანიზაციების მიერ,— შესაძლებელია დატოვებულ იქნეს კავშირში, მხოლოდ თვითეულ კერძო შემთხვევაში სათანადო პროფკავშირთა დადგენილების მიხედვით. ხოლო ის პირები, რომელთაც ეკავიათ სადმინისტრაციო თანამდებობა და უფლება აქვთ მოსამსახურეთა მიღება-დათხოვნისა, თუ გინდ მიღებულიც იყვნენ კავშირის წევრად კავშირის გამგეობის დადგენილების თანახმად,—ადგილობრივ კომიტეტში არ შეიძლება იქნენ არჩეულნი.

სტატისტიკური საკითხები. სტატისტიკური საკითხების განხილვა პლენუმზე მოხსნილ იქნა და გადაწყდა მოიწვიონ სპეციალური თათბირი ამ საკითხების შესახებ რესპუბლიკის წარმომადგენელთა თანადასწრებით.

პარტიული ცხოვრება

ფოთი

ჩვენ პირველ მაისის საზეიმო მიტინგზე შეკრებულნი ქალაქ ფოთის მუშები, გლეხები, წითელ არმიელები და მოსამსახურენი ვუძღვნით გულწრფელ რევოლიუციონურ სალამს დღეს გენუის კონფერენციაზე მყოფ წარმომადგენლებს პროლეტარული წითელი საბჭოთა რესპუბლიკებისას და ვუსურვებთ გამარჯვებას ევროპის იმპერიალისტურ სახელმწიფოთა გამრყვნელი პოლიტიკის დასამარცხებლად და მსოფლიო პროლეტარიატის ინტერესების გასამარჯვებლად.

ჩვენი გულითადი სალამი ამხ. ლენინს, ტროცკის, ჩიჩერინს, რომელნიც გამოხატავენ არა მარტო რუსეთის, არამედ მთელი ქვეყნის პროლეტარიატისა და მშრომელ გლეხების ინტერესებს და რომლებმაც გერმანიასთან ხელშეკრულების დადებით და განიარაღებისადმი მოწოდებით დაუმტკიცა მთელ მსოფლიოს, რომ ერთად ერთი სახელმწიფო, რომელიც მისწრაფვის ნამდვილი ზავის დასამტკიცებლად არის რუსეთის პროლეტარული სახელმწიფო. ჩვენი გულწრფელი სალამი აგრეთვე მსოფლიო პროლეტარიატის მისწრაფებას ერთი მთლიანი ფრონტის შესაქმნელად და შეერთებული ძალებით ბრძოლის ცდას ევროპის და ამერიკის ძირმომპალი კაპიტალიზმის მიერ მუშათა კლასის საწინააღმდეგოთ წარმოებულ შემოტევისადმი.

ძირს ევროპა ამერიკის გაუმაძღარი კაპიტალისტები და მათი დამცველი შავ-ყვითელი პარტიები!

გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარიატს და მის ერთად ერთ დამცველ მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს!.

გაუმარჯოს პირველ მაისს!

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას!

პარტკომის პასუხისმგებელი მდივანი **მეუნარგია.**

პროვინციაში

ქ. გორი.

შაბათს 9 აპრილს სამაზრო ალმას კომის ინიციატივით შესდგა სახალხო სახლში გორის სასწავლებლების უფროს კლასების მოწაფეთა მიტინგი. მიტინგს დაესწრო 150-ზე მეტი მოწაფე. მოხსენება მომენტზე გააკეთა ამხ. ბუხნიკაშვილმა, რომელმაც უმთავრესად გააშუქა გენუას და სამ ინტერნაციონალების კონფერენციათა საკითხები და ჩვენი მოწინააღმდეგეთა საქმიანობა. მარტივი ენით წარმოთქმულმა მოხსენებამ დიდად დააინტერესა ახალგაზრდობა და მრავალი შეკითხვები გამოიწვია. შეკითხვებზედაც იქნა გაცემული სათანადო პასუხი. ახალგაზრდობის მიერ იქნა გამოტანილი რეზოლიუცია, რომ ის ჰგმობს ყოველივე წინააღმდეგობას და შეთქმულებებს საბჭოთა საქართველოს წინააღმდეგ, როგორც გარედან ისეც შიგნით, ვინაიდან ეს მავნებლად მიაჩნიათ საქართველოს მშრომელთათვის.

— 10 აპრილს შესდგა ქ. გორის საბჭოს საზეიმო სხდომა. სხდომას დაესწრენ აგრეთვე ადგილობრივ პროფესიონალურ ორგანიზაციების წარმომადგენელნი და მუშა-მოსამსახურენი. დღის წესრიგში მხოლოდ ერთი საკითხი იყო: მოხსენება მომენტზე. მოხსენება გააკეთა ამხ. ბუხნიკაშვილმა. სიტყვები წარმოსთქვეს აგრეთვე ამხ. სირაძემ და მიქაძემ. ერთხმად მიღებულ იქმნა შემდეგი რეზოლიუცია: „მოისმინა რა ქალაქ გორის საბჭოს საზეიმო სხდომამ მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ, როდესაც ქალ. გენუაში მოწვეული არის თითქმის ყველა სახელმწიფოებების წარმომადგენლების კონფერენცია, რომელზედაც თვით იმპერიალისტურ წრეების მიერ მიწვეულია საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლები, მტკიცე იმედს გამოსთქვამთ, რომ საბჭოთა რესპუბლიკების წარმომადგენლები სავსებით დაიცავენ იმ მოთხოვნილებებს, რომლის საშუალებით შეიძლება საბჭოთა ფედერაციის ეკონომიური ცხოვრების აღორძინება, ჩვენი წარმომადგენლები კიდევ ერთხელ დაუმტკიცებენ მსოფლიო მცარცველებს, რომ საბჭოთა სახელმწიფოებებთან კეთილგანწყობილების დაუმყარებლათ შეუძლებელია მსოფლიო მეურნეობის აღდგენა. ჩვენ კი ყველა ზომებს მივიღებთ ყველა მათ წინააღმდეგ, ვინც განიზრახავს მუშურ ხელისუფლების წინააღმდეგ გალაშქრებას.

ბანი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 11.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

მცხოვრებთათვის სამხედრო მოქმედებით მიყენებული ზარალის ამნაზღაურებელი კომისიის გაუქმების შესახებ.

მცხოვრებთათვის სამხედრო მოქმედებით მიყენებული ზარალის ამნაზღაურებელი კომისია, რომელიც დასრულებულ იქმნა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის 1921 წლის აპრილის 9 ს თარიღისა და 14 №-ის დეკრეტის თანახმად, გაუქმებულ იქმნეს.

2. პირველ მუხლში აღნიშნულ კომისიაში დარჩენილი ყველა განუხილველი საქმე და აგრეთვე ის საქმეები, რომელნიც უკვე განხილულია კომისიის მიერ, ხოლო დაზარალებულნი პირნი ჯერ კიდევ დაკმაყოფილებულნი არ არიან გადაეცეს განსახილველად სათანადო მაზრის აღმასრულებელ კომიტეტს.

3. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ს. ქავთარაძე.**

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი **ა. გეგეჭკორი.**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **ალ. სალარიძე.**

1922 წ. აპრილის 26

ტფილისი სასახლე.

დადგენილება № 12.

საქართველოს სოც. საბ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

ცრუ დასმენისათვის პასუხის გებაში მიცემის წესის შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ის ვინც სასამართლო, საგამომძიებლო ან სხვა რომელიმე ხელისუფლების ორგანოს წინაშე, რომლისგანაც დამოკიდებულია სისხლის სამართლის წესით დევნის აღძრა, წინასწარი შეცნობით ცრუდ დაასმენს ამა თუ იმ პირს, ვითომც მას რაიმე დანაშაული ჩაედინოს, დაისჯება სასამართლოს მიერ თავისუფლების აღკვეთით ერთ წელზე არა ნაკლები ვადით.

2. იგივე სასჯელი დაედება სასამართლოს წესით იმას, ვინც საქმის გამოკითხვისა, გამოძიებისა ან სასამართლოში გარჩევის დროს მოწმედ, ექსპერტად თუ თარჯიმნად მიწვეული, განზრახ ცრუ ჩვენებას მისცემს.

შენიშვნა: დადგენილების 1-სა და მე 2 მუხლში აღნიშნული სასჯელის ვადა გადიდებულ უნდა იქნას არა ნაკლებ ორ წლამდე მაინც, უკეთუ ცრუ დასმენა ან ჩვენება გამოწვეულია ანგარებით, ან იმ მიზნით, რომ ამა თუ იმ პირს მძიმე დანაშაულის ბრალი დაედოს ან და უკეთუ დამნაშავე ამა თუ იმ პირის გასამტყუნებლად მიმართავს ბრალდების დამამტკიცებელი საბუთის ხელოვნურად შექმნას.

3. ის, ვინც სახელმწიფო დაწესებულების ან თანამდებობის პირისადმი წარდგენილ განცხადებაში ან ოფიციალურ შეკითხვის გამო მიცემულ პასუხში წინასწარი შემეცნებით მოათავსებს ცრუ ცნობებს იმ ფაქტებისა და საქმის თაობაზე, რომელიც შეეხება სახელმწიფო დაწესებულებისა, ან თანამდებობის პირის მოქმედებას, სასამართლოს წესით დაისჯება თავისუფლების აღკვეთით ერთ წელზე არა ნაკლები ვადით.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ს. ქავთარაძე.**

იუსტიციის სახალხო კომისარის მოადგილე **ბროდსკი.**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **ალ. სალარიძე.**

1922 წ. აპრილის 26.

ტფილისი სასახლე

დადგენილება № 13.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

ტფილისის სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული იუსტიციის განყოფილების გაუქმების შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. გაუქმებულ იქნეს ტფილისის სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული იუსტიციის განყოფილება.

2. გაუქმებული განყოფილების ყველა ფუნქციის აღსრულება დაეკისროს იუსტიციის სახალხო კომისარიატის სასამართლოს მომწყობ განყოფილებას.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ს. ქავთარაძე

იუსტიციის სახალხო კომისარის მოადგილე ბროდსკი.

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი ალ. სალარიძე.

1922 წ. აპრილის 26.

ტფილისი—სასახლე.

დადგენილება № 14.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის მიერ სამოქალაქო საქმეთათვის სასამართლო ხარჯების თაობაზე გამოცემულ 134 №-ის დადგენილების მე-3, 4 და 5 მუხლების შეცვლის შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს: საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის 134 №-ის დადგენილების მე-3, 4 და მე-5 მუხლები შეცვლილ იქნეს შემდეგნაირად:

მუხლი მე-3 გადასახადი ქაღალდის ასლის მიცემისათვის განისაზღვრება ნიხრით, რომელსაც პერიოდულათ დაადგენს და გამოაქვეყნებს იუსტიციის სახალხო კომისარიატი.

მუხლი მე 4 პუბლიკაციის დაბეჭდვისათვის მთავრობის გაზეთების სასარგებლოდ გადახდილი უნდა იქნეს ფასი იმ რაოდენობისა, რომელიც განსაზღვრულ უნდა იქნეს იუსტიციის სახალხო კომისარიატისა და სახელმწიფო გამომცემლობის შეთანხმებით.

მუხლი მე 5 მცოდნე პირთა (ექსპერტთა) გასამრჯელოს განსაზღვრავს სასამართლო ერთი მანათიდან ოცდახუთ მანათამდე ოქროთი, შრომის ხასიათისა, იმ დროისა რომელიც დასჭირდა დასკვნის მიცემას და სხვა გარემოებათა მიხედვით; გასამრჯელო წინდაწინვე შეტანილ უნდა იქნეს სასამართლოს დეპოზიტად, სასამართლოს მიერ დაახლოებით გამოანგარიშებულ რაოდენობისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ს. ქავთარაძე.

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **ალ. სალარიძე.**

1922 წ. აპრილის 26

ტფილისი—სასახლე.

დადგენილება № 15.

საქართველოს სოც. საბჭოს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

საქართველოში ლტოლვილთა მოზღვავების საწინააღმდეგო ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ.

რათა თავიდან აცილებულ იქნეს საქართველოს ფარგლებში ლტოლვილთა მოძრაობა, რამაც სტიქიური ხასიათი მიიღო,—საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. შეკრულ იქნეს საქართველოში შემოსასვლელი საზღვრები.

2 საქართველოში დაუბრკოლებლად შემოსვლის უფლება ეძლევა:

ა) სამხედრო ნაწილებს, რომელნიც მოდიან ცალკე რაზმებად უფროსითურთ;

ბ) მოსამსახურენი, რომელნიც მოდიან მივლინებით, ან შვებულებით და თან აქვთ საგუბერნიო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარისა და სამხედრო ნაწილების სამმართველოსა და დაწესებულების უფროსზე არა მდაბალი თანამდებობის პირის მიერ ხელმოწერილი მანდატი;

გ) პირნი, რომელნიც მოდიან სავაჭრო საქმეების გამო და თან აქვთ საამისო სათანადო მოწმობა, საგუბერნიო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეზე არა მდაბალი თანამდებობის პირის მიერ ხელმოწერილი;

დ) პირნი, ვისაც საქართველოში ჰყავთ ნათესავები, რომელთაც შეუძლიანთ და სურთ მიიღონ იგინი თავიანთ მზრუნველობაზე და უკეთუ მათ შესახებ ნათესავების მიერ აღძრული იქნება სათანადო შუამდგომლობა საქართველოს ცენტრალური საევაკუაციო სამმართველოს წინაშე. უკეთუ ეს შუამდგომლობა დაკმაყოფილებული იქნება საქართველოს ცენტრალური საევაკუაციო სამმართველო მისცემს მოწმობას, საქართველოში შემოსვლის უფლების შესახებ და ეს მოწმობა გადაეგზავნება იმ პირს, რომელსაც სურს საქართველოში მოსვლა:

შენიშვნა: განსაკუთრებულ შემთხვევაში, როგორც თვით საქართველოში, ისე ტრანზიტით შეიძლება შემოშვებულ იქნეს ლტოლვილნი, გადასახლებულნი, ინვალიდები და მუშები, რომელნიც მოდიან ცალკე ჯგუფებად და თან აქვთ სახელობითი სიები, საქართველოს ცენტრალური საევაკუაციო სამმართველოს მიერ წინასწარ შემოწმებული და ვიზადასმული, რომ მათ უფლება ეძლევათ საქართველოში დაუბრკოლებლად შემოსვლისა.

4. ყველა დანარჩენი პირნი, რომელნიც ზემოდ ჩამოთვლილ არ არიან, არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნენ შემოშვებულნი საქართველოში, ხოლო უკეთუ იგინი მოადგნენ საქართველოს საზღვარს, დაბრუნებულ უნდა იქნენ უკანვე გადამწყვეტი ღონისძიებათა მიღებით.

4. ამა დადგენილების განხორციელება დაეკისროს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს, საქართველოს საგანგებო კომისიას და განსაკუთრებულ განყოფილებას—ამასთანავე შინაგან საქ. სახ. კომისარიატს წინადადება ეძლევა გამოსცეს სათანადო ინსტრუქციები ამა დადგენილების საფუძველზე.

5. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა

საქართველოს სოც საბჭ რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ს. ქავთარაძე**

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი **ა. გეგეჭკორი.**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **ალ. სალარიძე**

1922 წ. მაისის 2

ტფილისი—სასახლე.

სარედაქციო კოლეგია

გაზეთის ტრესტის მთავარ
კანტორისაგან

1 მაისიდან გაზეთის ტრესტის მიერ გახსნილია კიოსკი ტფილისის სადგურზე

შეუდგნენ კიოსკების მოწყობას ამიერ-კავკასიის რკინის გზის მთელ ლიანდაგზე.

კიოსკებში გაიყიდება გაზეთები ამიერ-კავკასიის და რუსეთის საბ. ფ. ს. რესპუბლიკისა და აგრეთვე ყველა დარგის წიგნები. საწერი და საფოსტო მასალები.

ამიერ-კავკასიის რკინის გზების
სამმართველო

ამით აცნობებს ყველა ორგანიზაციებს, დაწესებულებებს და კერძო პირებს, რომ მან მოაწყო რეგულიარული მიმოსვლა სამარშრუტო მატარებლებისა როსტოვში, კიევში, მოსკოვში და ხარკოვში ყოველგვარ ტვირთის გადასატან გადმოსატანად ზემოაღნიშნულ პუნქტებისაკენ და აქეთ.

რკინის გზების სამმართველო ღებულობს თავის თავზე საქონლების გადაზიდვას, როგორც თითო ვაგონობით ისე მისი ჯგუფებით და მთელი მატარებლებითაც. პირობებას გასაგებად საჭიროა მიმართვა ამიერ-კავკასიის რკინის გზების სამმართველოში ეკონომიური სამსახურის უფროსისადმი.

(3—1)

ამიერ-კავკასიის ს. ს. რესპუბლიკების
გაერთიანებულ რკინის გზების
სამმართველო

ამით აცნობებს მგზავრებს, რომ ბათომსა და ბაქოს შორის მიმავალ პირებისთვის მგზავრობის პირობების უფრო უზრუნველსაყოფად კვირაში ერთჯერ ინიშნება ჩქარი მატარებლები № 1—2. მატარებელი № 1 გამოვა ბათომიდან ხუთშაბათობით 12 საათზე და 45 წუთზე და მოვა თბილისში პარასკეობით 10 საათ. 30 წ., მივა განჯაში პარასკეობით 20 ს. 42 წ. და იქიდან წავა 20 ს. 57 წუთზე და მივა ბაქოში შაბათობით 11 ს. 12 წ. გამოვა ბაქოდან მატ. № 2 კვირაობით 13 ს. 25 წ. მოვა განჯაში ორშაბათობით 5 ს. 15 წ. და გამოვა იქიდან 5 ს. 30 წ. და მოვა თბილისში ორშაბათობით 14 ს. 15 წ. გავა თბილისიდან 18 ს. 25 წ. და მივა ბათომში სამშაბათობით 14 საათზე 00 წ. მატარებელი შესდგება 3 საუკეთესო რბილი და 3 მაგარი ვაგონებიდან. ყველა ადგილები დანომრილია. არის ხაწოლი ადგილები, ამასთანავე მთელი მატარებელი მოწყობილია ელექტრონით. მატარებელს თან ახლავს ვაგონი რესტორანი ცხელი და ცივი საჭმელებით. მგზავრობის გასაადვილებლად შემოღებულია წინასწარი ჩაწერა და გაყიდვა ბილეთებისა, როგორც რკინის გზების ისე ქალაქის სადგურებზე ბათომში და თბილისში.

მოსვლა და წასვლა მატარებლების ოპერატიული დროით.

(3—1)

გაზეთის ტრესტის მთავარ
კანტორისაგან

თბილისის გაზეთებზე ხელის მომწერლებს მოვაგონებთ, რომ გაზეთებზე ხელის მოწერის ფასი მაისისათვის უნდა შემოტანილ იქნას არა უგვიანეს 30 აპრილისა. ვინც ამ ვადამდე ფულს არ შემოიტანს 1 მაისიდან გაზეთები არ გაეგზავნება.

ხელის მოწერის ფასი მაისისთვის შემდეგია:

„პრავდა გრუზიი", „კომუნისტი", „კარმირ ასტღ", პარტიულ ორგანიზაციებისათვის და პროფკავშირებისათვის მიტანით: ქალაქში 140,000 მ., პროვინციაში 180,000 მან.

ყველა დანარჩენ დაწესებულებებისათვის და კერძო პირთათვის ქალაქში მიტანით 200,000 მან. პროვინციაში—240,000 მან.

„მიწის მუშა" (ქართულად), „ახალი აზრი" (თურქულად), „საქართველოს ეკონომიური ცხოვრება" (რუსულად):

ღირება თვიურად: ქალაქში 80,000 მ. პროვინციაში 100,000 მან.

ცალკე გასაყიდათ: 10,000 მან. ეკზემპლიარი, პროვინციაში 12,000 მ.

ხელის მოწერა მიიღება:

ტფილისში: გაზეთის ტრესტის მთავარ კანტორაში (რუსთაველის პროსპ. № 24). ქუთაისში: გაზეთის ტრესტის განყოფილებაში (წერეთელთან) ბათომში: „ბატგიზო"-ში.

გაზეთებისთვის განცხადებები მიიღება

ტფილისში: ტრესტის მთავარ კანტორაში, სახელმწიფო გამომცემლობის ცნობების და სარეკლამო ბიუროში (ლორის-მელიქოვის ქ. №5) და ტრესტის მთავარ კანტორის მიერ მოწმობებით აღჭურვილ აგენტების საშუალებით.

განცხადებების ნიხრი

15,000 მან. პეტიტის სტრიქონი ან მის მიერ დაჭერილი ადგილი.

ხშირი განცხადებისათვის შეღავათი. სამგლოვიარო განცხადება: 300,000 მანეთი. პარტიული და საბჭოთა დაწესებულებებისათვის, დანარჩენთათვის 500,000 მანეთი ერთ ჯერ.

მოკლე ხანში
პოლიგრაფიული განყოფილება ს. მ. უ. ს.
გახსნის
ქაღალდების მაღაზიას

მისამართი: (რუსთაველის პროსპექტი № 27, ყოფილი დიტიატკოვის მაღაზია).

(3—3)